645/2
1985



ISSN 0321-1509

# საქართველოს ქალი

3
1985

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაზაფხული. დ. იაკობაშვილის ფოტოეტიუდი

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

17.970

მარიკა ბარათაშვილი

# დროის მოთხოვნით



## გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს!

ჩვენი თითქმის სამოცდაათწლოვანი სოციალისტური ცხოვრების ნიშანდობლივ თვისებად იყო და რჩება მიღწეულით თავმოწონებასთან შერწყმული დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რომელიც ერთდროულად წარმოშობს საკუთარი ძალებისადმი რწმენას და გვიბიძგებს ახალ-ახალი სიმაღლეების დასაძლევად.

ასეთ ვითარებაში ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა დადებითი, მისაბაძი გმირის წარმოჩენაა, მაგრამ ლიუბოვ იაროვაიას და ვასილ კიკვიძის, თუ ზოია კოსმოდემიანსკაიასა და ზოია რუხაძის და სხვების — რევოლუციური რომანტიკისა თუ სამამულო ომის საბრძოლო გმირობის შარავანდედით მოსილთა გვერდით დღეს ძნელია იპოვო და დააყენო მათი ტოლფასი.

სსრ კავშირის მწერალთა პირველი ყრილობის 50 წლისთავის ზეიმზე, როდესაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ მოგვცა საბჭოთა მწერლობის მიერ განვლილი ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი ცხოვრების ღრმა ანალიზი და დაგვისახა სამომავლო გზის პერსპექტივები, თქვა:

„ვფიქრობ, ნაკლებად ნაყოფიერია დისკუსია იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს, მაგალითად, გმირის დადებითი და უარყოფითი თვისებების „დოზირება". ხელოვნის შემოქმედებითს ძიებას უნდა ჰქონდეს, თუ შეიძლება ითქვას, ერთი ამოსავალი წერტილი — ცხოვრების სიმართლის, სოციალისტური იდეალების ერთგულება. ეს ხელოვნების, პარტიულობის, ხალხურობის აუცილებელი პირობაა".

ცხოვრებამ მოითხოვა პარტიულობის, ხალხურობის პოზიციებიდან უფრო ღრმად ჩავწვდეთ ჩვენს ირგვლივ მიმდინარე პროცესებს და ჩვენს თანამედროვეობაში დავინახოთ და წარმოვაჩინოთ საინტერესო, სამაგალითო ადამიანები.

ა. გელმანის პიესაში „ზინულია" (ჟურნალი „ტეატრ", № 10, 1984 წ.) მოთხრობილია ერთერთი ბეტონის დიდი ქარხნის ყველაზე პატარა და თავისი ფიზიკური მონაცემებითაც ყველაზე სუსტი მეაპარატე გოგონას ამბავი, რომელიც გასაოცარი გამბედაობით, უკომპრომისობით, უანგარობით, საკუთარი ინტერესების სრული უგულვებელყოფლობისა და თითქმის თავგანწირვის



საქ. სსრ კ. მარქსის
ს. ხ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ხარჯზე დაუპირისპირდა საქმოსანთა მთელ ჯგუფს და გაიმარჯვა მათთან ორთაბრძოლაში.

თუ ხელში სასწორს არ ავიღებთ და ცოდვა-მადლის „დოზირებას“ არ მოვყვებით, განა ცოტაა ჩვენს საზოგადოებაში ზინულიას მსგავსი? ჩვენ მხოლოდ ახლოდან ვერ ვამჩნევთ მათ და სათანადოდ ვერ მივუზღავთ ხოლმე ადამიანს, რომელსაც აგერ, ჩვენს გვერდით უომნია და უღვაწნია და მხოლოდ შემდეგ, დროის დისტანციიდან დანახული გვაოცებს და გვაღელვებს.

ამას წინათ რედაქციის კარი შემოაღო სრულიად ახალგაზრდა მეცნიერმა ქალმა, მეცნიერის მეუღლემ, ხუთი შვილის დედამ (მეექვსეს ელოდება და მეშვიდეს გაჩენაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი). თუ როგორ ეხმარება ეს ცოლ-ქმარი ერთმანეთს წინსვლაში, საოჯახო საქმიანობის ორგანიზაციაში, შვილების დაზრდაში, რა შესაშური გონიერებით ზრდის დედა თავის პატარებს, განა მისაბაძი არ არის?

„ყოველდღიური გმირობა!“ — სხვა რა შეიძლება უწოდო ცხოვრებას ქალისას, რომელიც შობს და ზრდის შვილებს, უვლის ოჯახს, ამყარებს შრომით რეკორდებს, იხვეჭს საქვეყნო სახელსა და პატივისცემას?

სწორედ ასეთი ქალები, ათასობით და ათიათასობით რომ მოვითვლით დღეს საქართველოს სინამდვილეში, ზრდიან და ამაღლებენ ჩვენი ცხოვრების დონეს და მასთან ერთად თავადაც იზრდებიან და მაღლდებიან.

რამდენი წინააღმდეგობის დაძლევის, რა ბრძოლისა და შრომის ფასად, უძილო ღამეებად, მუხლჩაუხრელ და მკლავმოუღლელ შრომის ფასად არის მიღწეული ეს სახელი და დიდება!

თითქოს აგერ ახლა წავიდა ჩვენგან პირველი პროფესორი ქალი, პედიატრი მარიამ უგრელიძე და გადახედეთ, რამდენი შესანიშნავი მეცნიერი ქალია დღეს საქართველოში: აკადემიკოსები, ინსტიტუტის დირექტორები, პროფესორები, დოქტორები, მეცნიერების კანდიდატები... ან რამდენი სოციალისტური შრომის გმირი, გმირი დედა, ლაურეატი... რამოდენა საქვეყნო სახელი გაუთქვეს ჩვენს მცირერიცხოვან ერს ჩვენმა მსოფლიო ჭადრაკის დედოფლებმა!

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, პირველმა ლენინურმა დეკრეტებმა დასაბამი მისცა მილიონობით ქალის სახელოვან ბიოგრაფიებს.

დღეს ცხოვრებამ დაგვაყენა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დიდი დაჩქარების აუცილებლობის წინაშე, რაც თვისებრივად ახალ „გმირობას“ მოითხოვს მისი ყოველი მშენებლისაგან და მაღალგანვითარებულ, პროფესიულად დახელოვნებულ კადრებს.

საიდან იწყება ამ კადრების სამჭედლო? — უპირველეს ყოვლისა, ოჯახიდან. აქ უნდა ეუფლებოდეს ბავშვი აუცილებელი ცოდნის ანბანს — სწავლობდეს ოჯახის ეკონომიკას, შრომის პატივისცემას, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობას, იჩენდეს საოჯახო ტექნიკით დაინტერესებას, უვითარდებოდეს კოლექტივიზმისა და სამართლიანობის გრძნობები — ყველაფერი, რაც აუცილებელია საზოგადოების სრულფასოვანი წევრის ჩამოყალიბებისათვის.

აღზარდო შვილი დროის მოთხოვნათა დონეზე, — ეს ნიშნავს, თავად პასუხობდე დროის მოთხოვნებს; რომ მართო „განათლებული“ მანქანები, ჩასწვდე ქვეყნის ეკონომიკის მართვის სისტემაში მიმდინარე რთულ პროცესებს, სიახლეებს, ექსპერიმენტებს — სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის ყველა სიკეთეს, — ამისათვის აუცილებელია განათლების სათანადო დონე.

ამასთან ერთად დრომ მოითხოვა კიდევ მეტი ინტენსიურობით სრულვყოთ ყველა ის საშუალება, რაც დაეხმარებოდა ქალს, დედას თავისუფალი დროის ბიუჯეტის მაქსიმალურად გამონთავისუფლებაში მისი ფიზიკური და გონებრივი ძალების მობილიზებისათვის თანამედროვეობის მოთხოვნათა დონეზე.

აქაც სიახლეები, ექსპერიმენტები ქალის შრომის, ყოფაცხოვრების, დასვენების, ბავშვთა აღზრდის პირობების მკვეთრი გაუმჯობესებისათვის...

ამ ვითარებაში შემოაბიჯა ჩვენს ქვეყანაში 8 მარტმა — ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღემ და გაზაფხულის პირველმა დღესასწაულმა.

8 მარტს, როგორც მსოფლიოს ქალთა ძალების დათვალიერების დღეს, წლეულს განსაკუთრებული მოვალეობანი აკისრია, რასაც განაპირობებს სადღეისო საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება, პლანეტის სხვადასხვა რეგიონში გაჩაღებული ომის ხანძრები, ხალხების თავგანწირული ბრძოლა თავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ნეოკოლონიალიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ, და საერთაშორისო დაძაბულობა — გამანადგურებელი ომის საფრთხე.

40 წელი სრულდება დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან; 40 წელი სრულდება, რაც 50 მილიონი სიცოცხლის დაკარგვით თავზარდაცემული, ჩვენი პლანეტის დედები შემტკიცდნენ მომავალი ომების თავიდან აცილებისათვის საბრძოლველად — 40 წელი უსრულდება მშვიდობისათვის მებრძოლ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას.

10 წელი სრულდება გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის მიერ დაწესებული ქალის ათწლეულისა, რომელიც მიზნად ისახავდა მსოფლიოს ქალთა, — განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნების ქალთა მდგომარეობის მკვეთრ გაუმჯობესებას.

ეს 8 მარტი ყოველ ჩვენგანს გვავალებს გადავხედოთ განვლილ გზას — გვიცხოვრია თუ არა, დროის კარნახით, ვდგავართ თუ არა დროის მოთხოვნის დონეზე.

ეპოქის თანამედროვეობის მთავარი მაჩვენებელი ხომ ადამიანის შინაგანი კულტურაა, მისი განათლება, ღირსეული თავდაჭერა. ცხოვრობდე დღევანდელობის მოთხოვნით, ეს ნიშნავს იყო განათლებული დედა და მეუღლე, ღირსეული წევრი შენი კოლექტივისა. ეს ნიშნავს აძლიერებდე შენს ოჯახს, შენს ქვეყანას და შენი წვლილი შეგქონდეს დიდსა თუ პატარა საქვეყნო საქმეში. მაშინ შეიძლება ვუპატაკოთ 8 მარტს, რომ მზად ვართ ქვეყნის სამსახურად, რომ ვცხოვრობთ დროის მოთხოვნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენი ქვეყნის ისტორია გვიჩვენებს, რაოდენ დიდი, უმაგალითო შრომითი მიღწევები ქალუძს ხალხს, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ იგი მუშაობს საკუთარი კეთილდღეობისათვის, თავისი ინტერესებისათვის. და ახლა ჩვენ განსაკუთრებით გვმართებს განვამტკიცოთ და განვავითაროთ ასეთი შეგნება. რატომ ვამბობთ ახლა განსაკუთრებით გვმართებსო? იმიტომ, რომ წარმოების ინტენსიფიკაცია უგრალოდ შეუძლებელია, თუ არ იქნა თითოეული მუშაკის დაინტერესებული, ინიციატივიანი, შემოქმედებითი დამოკიდებულება საქმისადმი, უკლებლივ ყოველ სამუშაო ადგილას".

კ. უ. ჩერნენკო.

## ყურადღება, ექსპერიმენტი!

# გრეხილი ავეჯის კომბინატში



ფოტოები ლ. მიხაილიძის



**იმ წყეულმა, ავადსახსენებელმა ომმა ნა-** ოცნებარი საპატარძლო კაბის ნაცვლად პირველსავე წელს ქვრივის ძაძა და შავი ცრემლი არგუნა წილად თეთრწყაროელ მარგო ბელელურს.

იმედიანად გაისტუმრა მეუღლე ქალმა — რომ დაბრუნდები, მაშინ გადავიხადოთ ქორწილი, მანამდე დედაჩემთან დავრჩები და დაგელოდებიო. ღიმილი გაატანა საგზალთან ერთად სასურველს, მაგრამ ვაი რომ, მის ოცნებას ასრულება არ ეწერა. მარგოს არასოდეს ჩაუცვამს საპატარძლო კაბა, არც ქორწილი ღირსებია და არც მეუღლის სახლში ზარ-ზეიმით შებრძანება. მისი სიყვარულიც ათასთა და ათიათასთა მსგავსად შთანთქა უმოწყალო ომმა. მარგოს ერთადერთ გოგონას არასოდეს უნახავს მამა, მაგრამ დედა ცდილობდა უმამობა არ ეგრძნო მის ერთას და საამაყო საფიცრად მამის საფლავი გაეხადა.

ცალუღელა ცხოვრების ჭაპანში შეება. თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატი მარგო ბელელურის თვალწინ აშენდა. ახალბედა მუშები ხალისით, ერთგულად მუშაობდნენ, თვითონვე ასუფთავებდნენ საამქროებს, რთავდნენ, ალამაზებდნენ, აკრიალებდნენ ორადორ დაზგას. თითქოს გუშინ იყო ეს ყველაფერი, ოცდახუთი წელი კი გასულა უკვე! კომბინატი თვალსადახელსშუა გაიზარდა. ახლა აქ ოთხასამდე მუშა-მოსამსახურე შრომობს. მუშის საშუალო ხელფასი 220 მანეთია. აი როგორ გაიმართა წელში მშობლიური საწარმო.

მარგო ბელელური მეორე მექანიკურ საამქროში მუშაობს. უკვე მეოთხედი საუკუნეა დაზგასთან ფუსფუსებს, ადამიანივით უყვარს დაზგა, რომელზეც სკამის გალაქული ზედაპირი იხეხება, მერე კი ეს ზედაპირი ისევ უნდა გაილაქოს. მუშაობა არ ეძნელება მარგოს, ფეხზე დგომას შეეჩვია, და რაც მთავარია, კომბინატი მისი მეორე ოჯახია.

შარშან თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატში ექსპერიმენტი დაიწყო. ის სამ პრინციპს ემყარება: წარმოების უფლებათა გა-

ფართოეას, მუშაობის შედეგებზე კოლექტ.-ვის პასუხისმგებლობას და მატერიალური სტიმულირების ზრდას.

ექსპერიმენტის მოქმედი დებულების თანახმად საწარმოს უფლება აქვს თავისი ხარჯები დააფინანსოს, ხოლო მიღებული მოგებიდან ფონდები შექმნას. წარმოების განვითარების ფონდი, განკუთვნილია ახალი მანქანა-დანადგარების შეძენისათვის და შენობის რეკონსტრუქციისათვის. კულტურული ღონისძიებების ფონდი უფასო საგზურებითა და ბინებით უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეებს და აგრეთვე, ექსკურსიების, საღამოებისა და შეხვედრების მოწყობას მოხმარდება. სამეურნეო რისკის ფონდი გეგმების შეუსრულებლობისას გამოიყენება და უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებას, ხოლო ხელმძღვანელის ფონდი სტუმრების მიღებას და, საჭიროების შემთხვევაში, დახმარების გაცემას მოხმარდება.

ექსპერიმენტმა იმედი გაამართლა. ამას ციფრებიც მოწმობს. 1984 წლის რეალიზაციის გეგმა 10 მილიონ 0005 მანეთი იყო, ნამდვილად კი 10 მილიონ 218.000 მანეთით შესრულდა, რეალიზაციის გეგმის გადაჭარბებით შესრულებამ და გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებამ წარმოებას საშუალება მისცა ზეგეგმური მოგება 88000 მანეთამდე გაეზარდა. მუშა-მოსამსახურეებს დანამატის სახით 101 000 მანეთი მიეცათ.

წლეულს თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატმა დამატებით 1 00000 მანეთის სასაქონლო პროდუქცია და 5000 მანეთის ავეჯი უნდა გამოუშვას. ეს იქნება: ზურგიანი და უზურგო სკამები, სავარძლები, პატარა მაგიდები, სკამები ბავშვებისათვის და სხვ.

კომბინატში ნარჩენ პროდუქციასაც წარმატებით ითვისებენ. მისგან ამზადებენ ელექტროწარმოებისათვის საჭირო კოჭებს, ღვინის მრეწველობაში გამოსაყენებელ ხვიებს, თოხისა და ბარის ტარებს და ა. შ.

კომბინატის ახალგაზრდა დირექტორმა მერაბ ჯაფარიძემ გვითხრა:

— ჩვენი კომბინატი, ჩვენდა საამაყოდ, მუდამ მოწინავეთა გვერდით იდგა და ექსპერიმენტის წყალობით მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდა: შარშან არც ერთი წუნი და რეკლამაცია არ მიგვიღია, გარდა amისა, ხუთი სახის ახალი პროდუქცია ავითვისეთ — რბილი სკამი, სამზარეულოს უზურგო სკამი, ბავშვის ორი სახის საწოლი და აკვანი.

წლეულს საწარმოს 25 წელი უსრულდება. ამ თარიღისათვის რეკონსტრუქციის შედეგად მოძველებული დანადგარებიც შეიცვლება. გამოცდილების გასაზიარებლად ჩეხოსლოვაკიის ცნობილი საავეჯო საწარმოს დავუკავშირდებით. კომბინატის წარმატებებს ხელს უწყობს ნედლეულის დროული და შეუფერხებელი მოწოდება. ამ საქმეს ოპერატიულად ასრულებს ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო (მინისტრი თ. უჩანეიშვილი). ჩვენი პროდუქცია რუსეთსა და აზერბაიჯანში იგზავნება.

ასე რომ, ექსპერიმენტი ამართლებს იმედს, ექსპერიმენტი გრძელდება. კომბინატის შრომისმოყვარე, ინტერნაციონალურ კოლექტივში მრავალი სასახელო და საამაყო ადამიანია. ერთ-ერთი მათგანია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლუბა ივანოვა, რომელიც I მექანიკურ საამქროში მუშაობს. სასკამე დეტალებს ზომაზე ჭრიან და რანდავენ. ლუბა ჯიბით სანტიმეტრს დაატარებს და თითოეულ დეტალს ამოწმებს. ის ოცი წლის წინათ მოვიდა კომბინატში და აქვე დაოჯახდა. გოგონები დაიზარდნენ. უკვე შვილიშვილიც ჰყავს. ოცი წლისა მოვედი ამ საამქროში და აქვე ვბერდებიო, — ხუმრობს ლუბა, თორემ სიბერე ჯერაც შორს არის ამ სანდომიანი, ენერგიული ქალისაგან. ის ყველაფერს ასწრებს: გეგმების გადაჭარბებასაც, სხვადასხვა საზოგადოებრივი დავალების შესრულებასაც და ოჯახის გაძღოლასაც.

მღებავ-მექანიკურ საამქროში სკამის დეტალებს ხარშავენ და ღუნავენ. უკვე თვრამეტი წელია, რაც მაგული მოსიძე ამ ოპერაციებს ასრულებს. მან მუშაობა მეუღლის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო. მარტოხელა ქალს გაჭირვება არ აგრძნობინეს, მხარში ამოუდგნენ, ეხმარებოდნენ, მეგობრულ სითბოს და ტკბილ სიტყვას არ იშურებდნენ. უცხოსათვის მართლაც ძნელია აქ მუშაობა: ორთქლი და სპეციფიკური სუნი ადვილი ასატანი არ არის, მაგრამ თუკი გვერდში გულშემატკივარი გიდგას, ყველაფერი იოლდება.

საბავშვო ავეჯის საამქროში ნანული ჭიტაძე გავიცანით. ის ამ ექვსიოდე წლის წინათ, საბაზო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოვიდა და მალე ავტორიტეტი მოიხვეჭა. შარშან პარტიაში მიიღეს. ნანული ორი სახის ოპერაციას ასრულებს: მზა დეტალების აწყობასა და შეკეთებას. ეს საქმე სულაც არ გახლავთ ადვილი, მითუმეტეს, როცა გარშემო ასეთი ხმაურია, საქმეს კი გულისყური სჭირდება. პატარები ხომ პრეტენზიული მომხმარებლები არიან! ნანულის ხელები კი მაინც მარჯვედ აკეთებს ჩვეულ საქმეს.

თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატის მთავარმა ეკონომისტმა შოთა მაღრაძემ საუბარში გვითხრა, რომ კოლექტივის 70 პროცენტს ქალები შეადგენენ, ხოლო მათი უმრავლესობა შრომის მოწინავეა.

კეთილსინდისიერი, მუყაითი შრომა არასოდეს რჩება შეუნიშნავი. კომბინატის ახალგაზრდებს რუსუდან კრავეიშვილს და ვერიკო მაჭავარიანს ახლახან ოცნება აუსრულდათ — ვორონეჟის სატყეო ინსტიტუტის სტუდენტები გახდნენ. გოგონები ვორონეჟს გამგზავრებულიყვნენ ზამთრის სესიებზე და მათი გაცნობა ვერ მოვახერხეთ, მაგრამ მათმა თანამოსაქმეებმა ორივენი გვიქეს: ჭკვიანი, საქმიანი, სერიოზული ქალიშვილები არიანო. მუშის სიტყვა უტყუარია და უნდა დაიჯერო, მუშამ ხომ ყველაზე უკეთ იცის შრომის ფასი და დაუმსახურებლად არავის შეაქებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. უ. ჩერნენკომ თქვა: „ყველა დონეზე გამოვიჩინოთ მეტი დამოუკიდებლობა, თამამად ჩავატაროთ ძიება; წავიდეთ თუკი ეს საჭიროა, გამართლებულ რისკზე, ეკონომიკის ეფექტურობის ამაღლებისა და ხალხის კეთილდღეობის ზრდისათვის".

გრეხილი ავეჯის კომბინატში ამ ძვირფასს სიტყვებს საპროგრამოდ იყენებენ.

**ირინე კუკავა**



ციალა გიორგაძე ესაუბრება ლუბა ივანოვას

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული

# სოფიკო მამაცაშვილის უგანრიგო ბრიგადა

იასონ მამაცაშვილი ომის პირველი დღეებიდანვე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. ოჯახში სამი უსუსური ბიჭი და ფეხმძიმე მეუღლე დატოვა. ფრონტზე წერილით შეიტყო, რომ დამტირებელი შეეძინა, მაგრამ გოგონას ცრემლებს ვერ ელირსა, სამშობლოს თავისუფლებას შესწირა თავი.

უჭირდა ახალგაზრდა ქვრივს ოთხი შვილის რჩენა. ორ ადგილზე მუშაობდა. დილით ადრე ზნაურის ვეტსამკურნალოს ალაგებდა, მერე მემინდვრე ქალების გვერდით ბარავდა და თოხნიდა.

პატარა სოფიკო ოჯახში ტრიალებდა. უჭირდა, მაგრამ ყველაფერს სიმღერით აკეთებდა. ფანდური იყო გოგონას სევდა-დარდის გამქარვებელი. რვა კლასის დამთავრების შემდეგ ჯერ მამის კვალი ეძება ამაოდ, შემდეგ კი დედას ამოუდგა მხარში. ანა უკვე ვეტსამკურნალოს ფერშალი იყო, სოფიკო კი — დამლაგებელი.

გოგონა დილაუთენია ღიღინით ჰგვიდა და რეცხავდა ვეტსამკურნალოს იატაკს, მერე მინდორში მიჰყვებოდა ქალებს და ახლა იქ ისმოდა მისი მომხიბლავი სიმღერა საღამომდე.

შრომის რთული გზა განვლო სოფიკომ. მისი მუშაობა დამლაგებლობით დაიწყო. ეპიზოოტოლოგადაც იმუშავა, დაინტერესება რომ შეატყვეს, დეზორაზმის ვეტსანიტრად გადაიყვანეს.

ზნაურის რაიონის ხელმძღვანელობამ შრომისმოყვარე ქალი კულაშის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში გაგზავნა სასწავლებლად. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ სოფიკო ზნაურის ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ მებრძოლ სადგურს დაუბრუნდა, სადაც ჯერ ბრუცელოზის ჯგუფის ვეტფერშლად იყო და მერე კი — ბრუცელოზის ჯგუფის ვეტექიმად.

რომელ სამუშაოზეც არ მივიდა სოფიკო მამაცაშვილი, ყველგან მოწინავისა და პატიოსნის სახელი დაიმკვიდრა. ამიტომაც ერთხმად მიიღეს პარტიის რიგებში, დღეს ის საოლქო და სარაიონო პარტიული კომიტეტის წევრია.

ზნაურის რაიონი მადლიერია მისი კარგი ქალობისა, მისი მოულლელი მარჯვენისა.

ზნაური, — სამხრეთ ოსეთის მაღალმთიანი რაიონი, — ცხრა საბჭოთა მეურნეობას აერთიანებს. ძირითადი დარგი მეცხოველეობაა. სამართლიანად იკვეხნის სოფიკო: რამდენ რძესა და ხორცსაც აბარებს სახელმწიფოს რვა მეურნეობა ერთად, იმაზე მეტს ვაბარებთ ჩვენ ზნაურის მეურნეობიდანო (დირექტორი ი. გაბარაევი). 1512 სული საქონელი ჰყავთ. მათ შორის 596 საფურაყეა. ზნაურელებმა 1984 წელს ერთი ფურისაგან 1824 ლიტრი რძე მიიღეს და სახელმწიფოს 10757 ტონა მიჰყიდეს.

პარტიის რაიონული კომიტეტი და მეურნეობის დირექცია მშრომელთა მატერიალური დაინტერესებისათვის და პროდუქციის გასადიდებლად შრომის ახალ მეთოდებსა და ხერხებს ეძიებენ. მეურნეობაში შეიქმნა უგანრიგო ბრიგადა, ანუ დაინერგა ბრიგადული იჯარის მეთოდი. ბრიგადას ეძლევა პროდუქციის წარმოების სავალდებულო გეგმა. გეგმის შესრულების შემდეგ მიღებული ზეგეგმითი პროდუქციის ნახევარი მწარმოებლებს უნაწილდებათ. მაგალითად: ბრიგადამ 127 ტონა რძე უნდა ჩააბაროს, ნამდვილად კი სახელმწიფოს 147 ტონა მიჰყიდეს. აქედან ზეგეგმიური ოცი ტონაა, რომლის ორმოცდაათი პროცენტი, ე. ი. ათი ტონა რძე მწარმოებლების, ბრიგადის წევრების კუთვნილებაა. ამრიგად, თუ ნამატი გეგმით გათვალისწინებულ რიცხვს ასცილდება, მისი 50 პროცენტი ბრიგადის წევრებს შორის ნაწილდება. აქ ყველაზე კარგად ვლინდება დევიზი: „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“.

მშრომელი დაინტერესებულია რაც შეიძლება მეტი პროდუქცია შექმნას.

ზნაურის მეურნეობამ შრომის ეს სიახლე ექსპერიმენტის სახით დანერგა. როცა უგანრიგო ბრიგადის შექმნა სოფიკო მამაცაშვილს დაავალეს, ცოტა შეფიქრიანდა ქალი, ვაი თუ ამ პასუხსაგებ საქმეს თავი ვერ გავართვაო, მაგრამ პარტიული დავალება უსიტყვოდ მიიღო და საკმაოდ ჩამორჩენილ ბრიგადას ჩაუდგა სათავეში. მან 37 უჯიშო ძროხა ჩაიბარა, რომელთა წველადობა მეტად მცირე იყო. რის გამოც ფერმა რძის ჩაბარების გეგმას ვერ ასრულებდა.

ბრიგადის ახალმა ხელმძღვანელმა უპირველესად საქონლის ჯიშობრივი შემადგენლობა გააუმჯობესა და ძველ ბოსელში 84 მეწველი ფური შეიყვანა. თანაც ბრიგადული იჯარის მეთოდით გააჩაღა მუშაობა. ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა დასჭირდა სოფიკოს, ვიდრე რვაკაციან კოლექტივს ერთ ოჯახად შეკრავდა და დარაზმავდა. ჯერ ერთი, ფერმა ძველტიპურია, ყოველგვარი შრომა ხელით სრულდება: საკვების მიწოდებაა ეს თუ დახვეტა-დასუფთავება. „სწორედ ამიტომ ავირჩიე ეს ბრიგადა, რომ ნახონ, როგორ შეუძლია პატიოსან შრომას ჩამორჩენის დაძლევა და ადამიანის ზეასვლაო“ — ამბობს სოფიკო. სოფიკოს და მისი ბრიგადის წევრების შრომა, მართალია, მძიმეა, მაგრამ სამაგალითო და მისაბაძია ზნაურის მეურნეობაშიც, მთელ რაიონშიც და ოლქშიც.

თავდაუზოგავია სოფიკო, პირადი მაგალითით ყველას აღაფრთოვანებს. დილაუთენია ფერმაშია, როგორც ჩვეულებრივი ბრიგადის წევრი, ისე შრომობს. უყურებენ ქალები და ცდილობენ არ ჩამორჩნენ საქმიანობაში. ეკითხებიან და სოფიკოც ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებს, როგორ მიაღწიონ მიუღწეველს, ცხოვრების ნათელ გზაზე შეურცხვენლად როგორ იარონ. მათაც უყვართ გულალალი, პატიოსანი, შრომისმოყვარე ქალი. სწორედ ამ სიყვარულის, ულალატო შრომისა და ერთმანეთისთვის ზრუნვის წყალობით უგანრიგო ბრიგადა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა.

ბრიგადული იჯარის მეთოდით მუშაობამ საშუალება მოგვცა შარშანდელთან შედარებით გაცილებით მეტი რძე გვეწარმოებინა. საბჭოთა მეურნეობის სხვა ბრიგადების მუშები ჩვენს მაგალითზე დარწმუნდნენ, რომ ბრიგადული იჯარით მუშაობა სასარგებლოა. — ამბობს სოფიკო, — მწველავმა ნორა ალბუროვამ 1400 ლიტრის ნაცვლად თითო ფურიდან 1850 ლიტრი რძე ჩამოწველა, რუიზან კობერიძემ — 1780, მათ არ ჩამორჩებიან მერი და ჟულია ცისკაძეები, ოლია იკაევა, რომელთაც ასი პროცენტით შეინარჩუნეს ნამატი. ჟულია ცისკაძემ 19 ძროხიდან 19 ხბო მიიღო და გამოზარდა. ბრიგადის თითოეულ წევრს წლის ბოლოს პრემიის სახით 810 ლიტრი რძე და ერთი ოთხთვიანი ხბო ერგო.

1984 წლის სახელმწიფო გეგმა ბრიგადას ოქტომბერში შესრულებული ჰქონდა და გამარჯვებულები შეხვდნენ შვიდ ნოემბერს.

— ჩემი ბრიგადის წევრები მუდამ მონდომებით შრომობენ. დასამდური არა მაქვს რა, ოღონდ მაკლდა, რომ კომკავშირელი არა მყავდა ბრიგადაში. სპეციალისტს ვერ ვზრდიდი. დღეისთვის მდგომარეობა გამო-

ვასწორე, ბრიგადაში მეხბორედ სკოლადამთავრებული კომკავშირელი გოგონა ბელა გაბარევა მივიღე და თხუთმეტი ხბო გავუპიროვნე. ბელა პატიოსნად შრომობს, მეც ყოველნაირად ვცდილობ ვასწავლო და შევაყვარო მეცხოველეობა, ხელი შევუწყო შრომასა და წინსვლაში. „შემცვლელი ხომ მჭირდება?!“ — იღიმება სოფიკო და ახალგაზრდა კომკავშირელს გაჰყურებს, რომელიც ხბოებს ხასხასა თივას უყრის.

ჩვენმა უგანაწესო ბრიგადამ კარგ წარმატებას მიაღწია, მაგრამ მარტო ჩვენი თავდადებული შრომა არ იკმარებდა, მეურნეობის დირექტორს ინავ გაბარაევს რომ დიდი ზრუნვა არ გამოეჩინა. სანიმუშო ხელმძღვანელია და საკვები ბაზა შეგვიქმნა, რაც რძის მიღების საქმეში ესოდენ დიდი და მთავარი ფაქტორია. 300 ჰექტარზე იონჯა გვაქვს დათესილი. მაისიდან ნოემბრამდე ფურებს მწვანე მასით ვკვებავთ. ამას სამი კილოგრამი კომბინირებული საკვები, ნამჯა, ჭარხლის ნარჩენი და სილოსი ემატება. წლეულს 200 ჰექტარზე სიმინდი დაითესება და ისიც საკვებად გამოდგება. მომავალში რძის წარმოებას კიდევ უფრო გავზრდით. ხორცის დამზადების გეგმას ჩვენი მეურნეობა 1985 წელს 70 ტონით გადააჭარბებს. ამის იმედს იძლევა მეღორეობის ახალი ფერმა, რომელიც დღეისათვის 600 სულ ღორს ითვლის.

უხარია სოფიკოს თავისი რაიონის წარმატება, მაგრამ საფიქრალ-სადარდებელიც არ ასვენებს რაიონული კომიტეტის წევრს. სოფლები ცარიელდება, რადგან რაიონში საწარმოო-დაწესებულებები არ არის, თუ „საქტალკის“ საწარმოოს არ ჩავთვლით, სადაც 170 მუშა მუშაობს. ტალკის წარმოების გაფართოება, წვენების ან საკონსერვო ქარხნის გახსნა, საკვების დამამზადებელი საამქროს აშენება, ძველი ბოსლების რეკონსტრუქცია, ფერმის ეზოს მოკირწყვლა ისე მიიზიდავდა ახალგაზრდებს, რომ წასვლაზე აღარც იფიქრებდნენ.

...შაბათობით კორპუსში მცხოვრები დიასახლისები მორიგეობით ოჯახში იკრიბებიან, ვახშამს ამზადებენ, მაგიდის ირგვლივ მთელი კვირის საქმიანობის შესახებ საუბრობენ. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ერთ სახლში მაცხოვრებელნი რითი ვსუნთქავთ, ვის რა უჭირს, ვის რა ულხინს, — ამბობს სოფიკო. აქ არიან: ოსები, რუსები, ქართველები. თედეევებსა, ქო-ევებსა და გაზაევებთან ერთად ცხოვრობენ და შრომობენ მამაცაშვილები, პაპაშვილები, ტაბატაძეები, პეტრიაშვილები, ტყემალაძეები. მათ შორის პატივისცემა, ურთიერთგაგება, თანადგომა, სიყვარული, დაფასება სუფევს. იქნებ ესეც არის მათი შრომითი წარმატებების სათავე.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული საუკეთესო შედეგებისათვის 1983-1984 წლის ზამთრის პერიოდში ხორცის, რძის და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების, გეგმებისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში გამოჩენილი შრომითი მამაცობისათვის ზნაურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი სოფიკო იასონის ასული მამაცაშვილი დაჯილდოვდეს მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — ეწერა გაზეთში.

სოფიკოს ეს საპატიო ჯილდო მართლაც რომ ღირსეულად ხვდა წილად.

ელისო ბილანიშვილი

კლავდია სტეპჩენკო

ლენინგრადის დამცველი

## ხსოვნა

ჩემო მიწავ,
ბედის ჩემის სათავევ,
რა მრისხანე საათები დავთვალე,
რომ ეცოცხლა ჩვენი ბედის ზოდიაქს,
თავი ჩემი არსად დამიზოგია.
რომ სიცოცხლე მამულისა დაეცვა:
ბრძოლის გზებზე ო, რამდენი დაეცა,
მათი ხსოვნა ჩემთვის დღემდე მწველია,
დღემდის სიზმრად ო, რამდენი მწვევია.
იმ მიწაზე ახლა თავთუხებია,
შრიალებს და მუხლი დადუღებია.
მე კი, როცა ელვა გაიგუგუნებს
შეშფოთებით სმენას ვაპყრობ უკუნეთს,
მაგრამ არა! ჩავიწყნარებ იარებს:
გულო ჩემო — ეს სიმშვიდე წკრიალებს.
ხალხი მოდის? — ხალხი უხმო მინდვრებმა
ძირს ომის ხმა!
მშვიდობას კი დიდება!

## საქართველოვ, გმადლობ!

ეს რამდენი წელია
შენი ტრფობა მადნობს,
აქ ხომ ყველა ლამაზი და მწველია:
საქართველოვ, გმადლობ!
მწვერვალები, მინდვრები,
მოფენია ტატნობს,
იცი, ესეც ქართულია, მდიდრული,
საქართველოვ, გმადლობ!
რაღაც ზესთა მშვენება,
ამ ხალხივით ვარდობს,
კვამლი კოცონებისა დაიფერფლა, შენდები,
საქართველოვ, გმადლობ!
მივხვდი, რატომ მგზნებარებ,
რას შუშპარებ, მარდო,
შრომასა და ბრძოლაშიაც ზეკარო,
საქართველოვ, გმადლობ-
ხმას არწივის მიყვება
რომ იმარჯვებ, სარდლობ,
თუმც რთულია ცხოვრება, შენ ფეხდაფეხ მიჰყვები,
საქართველოვ, გმადლობ!
ხმა არწივის მიყვება
საგანძურობს, — მადნობს,
„ძმაო, ძმითაო!“ — ამბობს შენი ქართული,
საქართველოვ, გმადლობ!
ვიამაყებ შენითა,
გაბედულო, სანდო,
იმ დღეს ვლოცავ, როცა შენთან შევნივთდი,
საქართველოვ, გმადლობ!

## ჭაღარა

როგორც ზამთარს, მათოვს თმებზე,
და ჩემს ფრონტელ და-ძმებს ვეძებ.
მინდა, ისევ მივეფერო
და კვლავ ვუთხრა: შე ბებერო.
გახსოვს? თითქმის ყველა ბავშვი,
გავჭაღარდით ბრძოლის ქარში.
იმ ძნელ დღეთა ძნელი კვალი,
გვადგა თმებზე როგორც კვამლი.
სიჭაბუკევ, დღევანდელო,
დღევანდელო შევარდენო,
გლოცავთ თქვენი მომდევრებით
ჩვენ, ჭაღარა ფრონტელები:
და ანდერძად გებარებათ:
სამშობლო და მგზნებარება!

თარგმნა ნაზი კილასონიამ

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მკითხველებს ვულოცავ მოახლოებულ დღესასწაულს — დიდი სამამულო ომის დამთავრების მე-40 წლისთავს.

მშვიდობიანი და ბედნიერი იყოს ყველა ჩემი თანამემამულისათვის ეს ახალი, 1985 წელი, ნუღარასოდეს დაეჩრდილოს ომის ღრუბლებს ჩვენი სამშობლოს ზეცა!

თქვენი თამარ მახარაძე

მაია ნემიროვა

# კომისარი თამარ მახარაძე



მ. კალინინი და თ. მახარაძე

1942 წლის მარტის იმ მშვენიერ, ნათელ დღეს თამარ მახარაძე პატარა ხის სახლის, — ფრონტის სადაზვერვო განყოფილების, — შეჭირხლულ ფანჯარასთან იდგა და უმაღლესი მთავარსარდლობის დავალებაზე ფიქრობდა. დავალება რთული და საშიში, მაგრამ საპატიო იყო. მისი შესრულება მხოლოდ გაბედულ, მამაც, ჭკუაგამჭრიახ ადამიანს შეეძლო. სადაზვერვო განყოფილებამ არჩევანი ლეიტენანტ მახარაძეზე, ამ გამოცდილ პოლიტმუშაკზე, რთული ვითარების ადვილად თავისგამრთმევ მებრძოლზე შეაჩერა. ომის პირველი დღეებიდანვე ის მოსკოვის სახალხო ლაშქრის დივიზიაში იბრძოდა, „ვინტოვკა“ მოემარჯვებინა და სიჩევკის, ვიაზმის, სმოლენსკის, სელიგერის ტბის, ოსტაშკოვის მისადგომების, რჟევის, ფომინსკის, მალოიაროსლავის ბრძოლებში მონაწილეობდა. მოსკოვის დაცვის დიდი ქარცეცხლი ჰქონდა გამოვლილი. „მტერს თავს მეხად ატყდებიან და გაბედულებას იჩენენ უმცროსი ლეიტენანტის მახარაძის გვარდიელები“ — იუწყებოდა საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

დიახ, ლეიტენანტი მახარაძე მართლაც გაბედული მებრძოლი იყო! თანაც, — საუკეთესო პარაშუტისტი! ომის წინა ხანებში თამარმა თავდაცვა-ავიაქიმიის აეროკლუბის კურსები დაამთავრა და ორმოცდათექვსმეტჯერ გადმოხტა პარაშუტით.

უმაღლესმა მთავარსარდლობამ ლეიტენანტ მახარაძეს 33-ე არმიის სარდალთან გენერალ-ლეიტენანტ მ. გ. ეფრემოვთან კავშირის დამყარება დაავალა. ეფრემოვი თავისი არმიის სამ მსროლელ დივიზიასთან ერთად ვიაზმის რაიონში მტერს ალყაში ჰყავდა მოქცეული. ორი თვის განმავლობაში ეფრემოვის ჯარები გმირულად ურტყამდნენ მტერს. მაგრამ, როგორც თავის „მოგონებებსა და ფიქრებში“ საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი წერს, — ვიაზმის რაიონში მდგომარეობა გამწვავდა — „მტერი თავს უყრიდა თავის მთავარ ძალებს და გაზაფხულისათვის თავისი ხშეულიდან „საშიში ხიწვის“ ამოღებას ესწრაფოდა. უმაღლესმა მთავარსარდლობამ გადაწყვიტა ალყაშემორტყმული ჯარები ჩვენი მთავარი ძალებისათვის შეეერთებინა“.

ლეიტენანტ მახარაძეს უმაღლესი მთავარსარდლობის ეს ბრძანება გენერალ ეფრემოვისათვის უნდა გადაეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარს სამხედრო ფორმა ეცვა, რადგან პარაშუტით საჯარისო განლაგებაში უნდა გადმომხტარიყო, მაგრამ გერმანელებმა შეამჩნიეს, ტყვია დაუშინეს და თვითმფრინავი კინაღამ ასცდა თავის გეზს, თითქმის ასი კილომეტრით დაშორდა მიზანს.

თამარი უდაბურ ტყეში დაეშვა. თორმეტი დღე-ღამე მოუნდა მტრის ღრმა ზურგის გარღვევას. ღამე სიბნელეში კომპასით მიიკვლევდა გზას, დღე ფისით გაპოხილ ფიჭვის ხეზე აცოცდებოდა ხოლმე, ზედ ქამრით მიებმებოდა და ცდილობდა დაეძინა. მეხუთე დღეს სიცივისაგან ხელებიც გაეყინა, ფეხებიც და შიმშილისაგან კუჭმაც უფრო საშინლად დაუწყო წვა. და როცა ერთხელ, დამშეულს, ძალა-გამოლეულს თავბრუ დაეხვა და მოეჩვენა, რომ ხიდან ფრენით ეშვებოდა დაბლა, მაშინ კი გადაწყვიტა, რომ სოფელში გასულიყო. მთელი დღე უთვალთვალებდა და ბოლოს, როცა დარწმუნდა, რომ იქ გერმანელები არ იყვნენ, ერთ დედაბერს შეეკედლა, რომელმაც საჭმელიც აჭამა და ტანსაცმელიც გამოუცვალა. სოფლური კაბით სიარული საშიში აღარ იყო, მაგრამ მაინც გვერდი აუარა სოფელს და უკაცრიელი გზები, თოვლიანი ბილიკები აირჩია.

მეცამეტე დღეს თამარმა უკვე მიაღწია მიზანს.

მაგრამ იქ, შტაბში, გენერლის ნაცვლად თავშეფარებულთა ჯგუფს წაადგა თავს. გენერალ ეფრემოვს თავისი ჯარებისათვის ალყის ბრძოლით გარღვევა ებრძანებინა.

თავშეფარებულებთან ერთად თამარი დაეწია დივიზიას. მაგრამ გენერალი ეფრემოვი ცოცხალი აღარ დახვდა. „გერმანელებმა შეამჩნიეს, ჩვენი ჯარების მოწინავე რაზმები მდინარე უგრზე რომ გადადიოდნენ და გაანადგურეს ისინი, — მოგვითხრობს მარშალი გ. კ. ჟუკოვი, — მძიმედ დაჭრილმა გენერალმა ეფრემოვმა, როგორც ეს ნამდვილ გმირს შეჰფერის, მტერს რომ არ ჩავარდნოდა ხელთ, თავი მოიკლა. ასე ტრაგიკულად დამთავრდა ამ ნიჭიერი და მამაცი მხედართმთავრის სიცოცხლე. მასთან ერთად მისი გმირი მებრძოლების უმრავლესობაც დაიღუპა".

160-ე დივიზიასთან ერთად ალყას თამარ მახარაძემაც დააღწია თავი. დადგა გაზაფხული. იანვარში ალყაში მოქცეულ მებრძოლებს აპრილშიც ისევ ზამთრის ტანსაცმელი ეცვათ და ისე ეჩვენებოდათ, თითქოს თითო ჩექმა ასი ფუთი ყოფილიყოს. აი, ასე ჩაცმულებმა გადალახეს მდინარე უგრი. თამარს არასოდეს დაავიწყდება რა ვაივაგლახითა და გაჭირვებით მიიწევდნენ წინ, ვინც ცურვა არ იცოდა, როგორ იძირებოდა წყალში.

სისხლისმღვრელ ბრძოლებში თამარი არავითარი სიძნელის წინაშე არ იხევდა უკან, ყველაფერს აკეთებდა, რაც კი საჭირო იყო გამარჯვებისათვის: სანიტრადაც მუშაობდა, მედდაც იყო, რიგითი მებრძოლიც. თანამებრძოლი რომ დაიჭრებოდა, — ბრძოლის ველიდან გამოჰყავდა და ჭრილობას უხვევდა; თუ სროლა იყო საჭირო, — ისროდა; როცა მებრძოლები შეტევაზე გადადიოდნენ, მუდამ წინა რიგებში იყო.

სამი დივიზიიდან ერთი მუჭა ხალხიღა დარჩენილიყო. აპრილის ბოლოს მიაღწიეს თავისიანებთან.

უმაღლესი მთავარსარდალი გენერალ ეფრემოვს, როგორც ერთ-ერთ უნიჭიერეს მეთაურს, სამოქალაქო ომის დროიდან იცნობდა და ძალიან განიცადა მისი და მისი ჯარისკაცების დაღუპვა. ვიაზმის ტრაგედიის ამბავი დაწვრილებით რომ გამოეკითხა, მან თამარ მახარაძე თავის რეზიდენციაში მიიწვია.

უმაღლესი მთავარსარდლის დიდი სამუშაო ოთახი თამარს ცარიელი მოეჩვენა. და აი უცებ დაინახა: ფანჯარასთან სტალინი დგას და ჩიბუხს აბოლებს. დაბალია, გამხდარი, სახეზე დაღლილობა ეტყობა.

— გარეთ ისევ წვიმს? — თავი მაღლა არ აუწევია, ისე მოუკიდა ჩიბუხს სტალინმა.

წვიმს?! — გაიკვირვა თამარმა. კრემლში რომ შედიოდა, ისე ღელავდა, რომ არც შეუმჩნევია თუ წვიმდა.

— წვიმს, დილიდანვე წვიმს. — სტალინმა თამარს გაუღიმა და ქალმაც იგრძნო, რომ მან წვიმაზე განგებ, ღელვის დასაცხრობად, დასამშვიდებლად ჩამოუგდო სიტყვა. — სტალინმა სავარძელზე ანიშნა, დაბრძანდითო და თვითონაც მოპირისპირე, ყავისფერტყავგადაკრულ ასეთსავე ღრმა სავარძელში ჩაჯდა. — აბა, მომიყევით რაც იცით, რაც ნახეთ...

და თამარმა ყველაფერი უამბო, რაც ნახა, რაც იცოდა, რაც თავს გადახდა ვიაზმის ბრძოლებში, გენერალ ეფრემოვის დაღუპვაც გაიხსენა და ისიც, თუ როგორ შეუერთდნენ ჩვენებს მდინარის გადალახვით...

1942 წელს დასავლეთის ფრონტზე 33-ე არმიასთან დაარსებულ პოლიტმუშაკთა კურსებზე ათი ქალიშვილი ჩარიცხეს, — დაჭრილები, საბრძოლო ჯილდოებით მკერდდამშვენებულნი, საბრძოლო გამოცდილების მქონენი. სწავლის დროს შეუმჩნევლად გაირბინა, სამ ფრიადოსანს, მათ შორის თამარ მახარაძესაც, წილად ხვდა მიხეილ ივანეს ძე კალინინთან შეხვედრის, კურსანტების გამოსაშვებ ზეიმზე მისი მიწვევის ბედნიერება.

თამარის მეხსიერებას ნათლად შემორჩა მ. ი. კალინინთან გამგზავრების კეთილი მოგონება. კალინინი ხომ საოცრად კეთილი და უბრალო ადამიანი იყო!

და აი, მ. ი. კალინინი მივიდა ზეიმზე. მან სიტყვა წარმოთქვა პოლიტმუშაკთა კურსების პირველი ნაკადის გამოშვებისადმი მიძღვნილ მიტინგზე და იმ კურსანტებს, რომელთაც მანამდე ვერ მოასწრეს მიღება, ახლა პირადად თვითონ გადასცა ჯილდოები. თამარ მახარაძეს, პირველ ქართველ კომისარ ქალს, მ. ი. კალინინმა მხურვალედ მიულოცა დაჯილდოება და მკერდი წითელი ვარსკვლავის ორდენით დაუმშვენა.

...კომისარი მახარაძე ყველგან და ყოველთვის, ჭირშიც და ლხინშიც, თავის მებრძოლებთან იმყოფებოდა: სანგრებშიც მათთან ერთად იზიარებდა ომის საშინელებას, ხანმოკლე შვებულებასაც მათთან ერთად ატარებდა. ის თვალყურს ადევნებდა ყველაფერს და ნიადაგ ზრუნავდა იმისათვის, რომ მებრძოლები ჩაცმულ-დახურულნი და მაძღარნი ყოფილიყვნენ, რომ მუდამ ჯანსაღი ყოფილიყო მათი მორალური და საბრძოლო განწყობილება. მებრძოლებს პოლიტინფორმაციებსა და საუბრებს უტარებდა. ბატალიონის მეთაურთან, უფროს ლეიტენანტ ფადეევთან ერთად საბრძოლო ოპერაციების გეგმებს ამუშავებდა და ზრუნავდა, რათა ეს ოპერაციები მებრძოლთა მცირე დანაკარგებით განხორციელებულიყო. და თუმცა კომისარი სულ 22 წლისა იყო და ქალი გახლდათ, მაინც დიდი ავტორიტეტი და სიყვარული ჰქონდა მოხვეჭილი თვით ხნიერ მეომართა შორისაც კი.

მედინი... ისტრა... იასნაია პოლიანა... იარცევო... ელნია.., ჯოჯოხეთური კურსკის რკალი...

— ახლა თითქოს დაუჯერებლადაც კი მეჩვენება, რომ ადამიანს შეეძლოს ამდენი რამის გადატანა, — ამბობს პატივცემული თამარი, — ირგვლივ ყველაფერი ზანზარებდა და მქუხარებდა. ცას შავი ღრუბლები ჩამოსწოლოდა, დედამიწა სისხლით იყო მორწყული. ის ის იყო გამომწერეს ჰოსპიტლიდან, სადაც მეორედ დაჭრის შემდეგ ვიწექი. საბრძოლო პოზიციაზე ღამით დავბრუნდი, განთიადისას კი კვლავ ბრძოლა დაიწყო. არ მახსოვს, როგორ გავიდა პირველი დღეები. ჩემ სიცოცხლეში არ დამავიწყდება, როგორ აფრქვევდნენ სიკვდილის ცეცხლს უზარმაზარი „ვეფხვები", ავაზები", „ფერდინანდები". ჩვენ ფიცი დავდეთ, რომ მოვმკვდარიყავით და ისინი წინ არ გამოგვეშვა! მტერი ხერხემალში გადაგვემტვრია! მარჯვედ ვურტყამდით მომხდურს. ჩვენმა მებრძოლებმა თავი გასწირეს და „ვეფხვებიცა" და „ავაზებიც" ნამსხვრევებად აქციეს. მტერს ვერ წარმოედგინა თუ ასე მოხდებოდა და მისი რიგები პანიკამ მოიცვა.

— მეორე დილას ფაშისტთა არტილერიამ ცეცხლი დაუშინა ჩვენს პოზიციებს. ჩემს ბატალიონს მტრის ოცდაათ ტანკზე მეტი მოუახლოვდა. ტანკებს ქვეითი ჯარი მოსდევდა უკან. ზეცა მტრის თვითმფრინავებმა ჩამოაბნელეს. ბატალიონის მეთაური მოკლეს. მისი ადგილი მე დავიკავე, მებრძოლები მე უნდა გადამეყვანა შეტევაზე. სიკვდილი თვალებში მიცქეროდა. ჩვენ ყველას სიცოცხლე გვწყუროდა, მტერი კი სულ უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა. წამოვიმართე, ყუმბარა ვისროლე და დავიძახე:

— წინ, სამშობლოსათვის!

მტრის ტანკმა ერთი კი წაიბორძიკა თავის გაგლეჯილ მუხლუხზე და გაჩერდა. ფიცხლად ამოვხტი სანგრიდან და ბრძოლის ქარცეცხლში გადავეშვით.

გავიდა მეორე დღეც და ჩვენ ისევ ისე მტკიცედ ვინარჩუნებდით თავდაცვის ზღუდეებს. განთიადისას კი კვლავ მოგვიხდა მტერთან შეტაკება.

არ მახსოვს როგორ დავიჭერი. ტყუილად კი არ არის ნათქვამი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი თავის ტყვიის ხმას ვერ გაიგონებსო. როგორც მერე ჰოსპიტალში გავიგე, ტყვიას ჩემთვის ექვსი ნეკნი დაუზიანებია და გულამდე მიუღწევია. არავის ჰქონია ჩემი გადარჩენის იმედი. ორი წელიწადი გავატარე ჰოსპიტალში და აი, როგორც ხედავთ, ისევ ცოცხალი ვარ!

* * *

ვათვალიერებ ქალბატონ თამარის კაბინეტს. წიგნები... წიგნები... კედლებზე ფოტოსურათები ჰკიდია, რომლებიც სამახსოვრო წარწერებით უჩუქებიათ დოლორეს იბარურს, არგენტინის კომპარტიის გენერალურ მდივანს ვიტორიო კოდავილოს, ურუგვაის კომპარტიის გენერალურ მდივანს არისმენდის...

აქ, მოსკოვში, ფრუნზეს სანაპიროზე, ფართო ბინაში ორი დიდებული ადამიანი, ორი მოღვაწე ცხოვრობს და მუშაობს, რომელთაც ომის ქარცეცხლი გამოუვლიათ და დღეს თავიანთ სიცოცხლეს საყოველთაო მშვიდობის საქმეს სწირავენ — თამარ სერგის ასული მახარაძე და მისი მეუღლე, საბჭოთა კავშირის გმირი თევდორე იოსების ძე კრავჩენკო.

პატივცემულ თევდორეს ბიოგრაფია მდიდარია ღირსშესანიშნავი და მნიშვნელოვანი მოვლენებით: კომინტერნში გიორგი დიმიტროვის, ვილჰელმ პიკის, პალმირო ტოლიატის, ვალტერ ულბრიხტის და სხვათა გვერდით მუშაობა; ესპანეთში ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლა; დიდი სამამულო ომის პერიოდში უმაღლესი მთავარსარდლობის დავალებათა შესასრულებლად თავგანწირული ბრძოლის სახიფათო დღეები...

თევდორე კრავჩენკოს ცხოვრება დღესაც აღსავსეა შრომითა და საზრუნავით. ის ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტისა და ბერძენ დემოკრატებთან სოლიდარობის კომიტეტის წევრია, საბჭოთა კავშირ-ურუგვაის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტია...

მოხდენილი და მიმზიდველი თამარი ახალგაზრდული სიმკვირცხლით მიდის წიგნის თაროსთან და იმ წიგნებს მიჩვენებს, რომლებიც მარშლებს ბუდიონსა და კონევს, მწერლებს გიორგი ლეონიძეს, სერგეი სმირნოვს, რასულ გამზატოვს უჩუქებიათ და ზედ სამახსოვრო სიტყვებიც წაუწერიათ. მისი ენერგიული მიმოხვრა და საუბარი სწორედ ისეთია, ამ სიტყვებს — „ამხანაგ კომისარს" რომ შეეფერება; თამარი შეუპოვარია, პრინციპულია... ერთი სიტყვით, ნამდვილი კომუნისტია!

ვეცნობი ქალბატონ თამარის პირად არქივს. აი მისი ორდენები და მედლები, საბრძოლო დახასიათება, ფრონტული დღიურები და მრავალი კონვერტი, რომლებსაც უცხოური ბეჭდები აზის. ეს ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ჰოლანდიიდან, საფრანგეთიდან, ნორვეგიიდან, იტალიიდან, გერმანიის გემოკრატიული რესპუბლიკიდან, უნგრეთიდან მიღებული ბარათებია. აქვე იმ წერილებსაც ნახავთ, ვიაზმიდან, ტარუსიდან, ისტრიიდან რომ მიუღია. თამარი ხომ ამ ქალაქების პიონერული ორგანიზაციების საპატიო წევრია! და ამ ბარათებში სასკოლო უჯრედებიანი რვეულის ფურცლებზე დაწერილი ერთი ფერგადასული, დრო-ჟამისაგან გაყვითლებული წერილი იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას: „გამარჯობა, ჩემო დედიკო! როგორა ხარ? ხომ არ გშია? მე გამომწერეს ჰოსპიტლიდან. ჭრილობა კარგად მომიშუშდა. დედა, ხვალ დავალების შესასრულებლად მივდივარ, შეიძლება დიდხანს ვერაფერი მოგწერო და არ იდარდო. თუ დავიღუპე, არ იტირო, ჩემო საყვარელო დედა, ყველანი ძალიან მიყვარხართ... ძალიან მინდა ვიცოცხლო, მაგრამ მინდა თავისუფალი, მტრისგან გაწმენდილი ვიხილო ჩვენი დიადი სამშობლო".

აი, ორმოცდაორი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც თამარმა ეს წერილი მოსწერა დედას. იწვოდა სოფლები და ქალაქები, იღუპებოდა მილიონობით ხალხი, ქვეყანა სასტიკი ომის ალში იყო გახვეული... ამ წვა-დაგვასა და ქარიშხალს ალბათ სასწაულებრივად გადაურჩა ეს გაყვითლებული ბარათი, ბარათი, რომელიც ოცი წლის ქალიშვილმა დაწერა, როცა ომის ქარცეცხლში სამშობლოს გადასარჩენად მტერს ერკინებოდა. ეს ბარათი იმ ბედკრული დროის მოწმეა, საბჭოთა ადამიანების იმ დიადი გრძნობების დასტურია... მისი ყოველი სიტყვა, ყოველი ასო წმინდა ხსოვნის ნათელით არის გაცისკროვნებული.

თარგმნა ალ. ბებაშვილმა

# წაუკითხეთ პატარებს

მედეა კახიძე

## დიასახლისი

თუ საქმეს არ
გამომიჩენ,
იცოდე
არ მოგეშვები,
დამაგვევინე ოთახი
დამარეცხინე თეფშები,
მეც მინდა ვიყო,
ძვირფასო,
დიასახლისი შენფერი,
შენნაირ ყოჩაღ
დედიკოს,
ყოჩაღი შვილი
შეფერის!

## მცონარა

მთელი დილა
ჭამს და სძინავს,
საქმე გამოლევია,
რა აჩერებს
ლოგინში
სწორედ საკვირველია,
როცა ირგვლივ
ამხელა,
საბურთაო ველია!

## ჩემი თოჯინა

კოხტაა და ლამაზი
ირმა ჰქვია სახელად
ჭკვიანია, ამიტომ
გაიზარდა ამხელა.
„წითელქუდას ზღაპარი,
დავასწავლე ამ დილას,
გაისს ამ დროს სკოლაში
მივაბარებ ნამდვილად.
რა ვუყოთ თუ ზარმაცობს,
ჯერ ვერ ადგამს ნაბიჯებს,
შევასწავლი სიარულს
რადაც უნდა დამიჯდეს.

## ბანაობა

რა კარგია
ბანაობა,
ჭუპა-ჭუპა,
ჭუპა,
უხარია ეკას,
მზეზე
თვალებს ჭუტავს.
დალოვლივებს
ზღვაში,
ტალღებს
მკლავით აპობს.
რა კარგია:
დედა
არ წაუსვავს
საპონს!

## ზღვაზე

გამებუტა
ჩრდილში მიჯდა,
თვალხუჭუნა დედოფალა,
არ მინდაო ბანაობა
ირმას პირით
შემოთვალა.
მზე კი
ზღვაში ჭყუმპალაობს,
ზღვა ლაპლაპებს
მინის-სარკე,
ჭირვეული დედოფალა
მარტო გარბის
შინისაკენ.
დავემუქრე
— ხვალ დილიდან
სახლში მარტოს
გამოგკეტავ,
თუ არ გინდა
გაშავება
რატომ მომდევ
ზღვაზე ნეტავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ინანიშვილი

ორი მოთხრობა

# ჩანაწერი მშვენიერი ქალისათვის



მხატვარი თენგიზ მირზაშვილი

ჩემი ბაღის ხეებს ჯერ ისევ შერჩენოდა ყვითელი ფოთლები, ზოგს წვრილ-წვრილი, ზოგსაც ბრტყელი. პატარა კალოებად იყო დაგებული ყვითელი ფოთლები ხეების ქვეშაც.

დილ-დილობით, ორთვილში, მზე რომ გამოანათებდა, ყველა ფოთოლი თავისებურად იწყებდა ბრწყინვას. იწყებდნენ გალობას გულწითელებიც. ჩამოდიოდა წვეთებიც — ტკაპ! ტკაპ! ტკაპ! მე გავიდოდი, ვიდექი ბაღში და გახარებული შევყურებდი ყველაფერს.

შუადღისთვის ფოთლები ისე აღარ ბრწყინავდა, როგორც დილით, აღარც გულწითელები გალობდნენ, აღარც წვეთები ჩამოდიოდა ხეებიდან, მაგრამ, სამაგიეროდ, გასაოცარი ქარვისფერი სიმშვიდე დგებოდა. ხანგამოშვებით ეული ფოთოლი თუ წამოვიდოდა მაღლიდან ნელი ტრიალ-ტრიალით. მყუდროში წყნარად კრუტუნებდა თვალებდახუჭული კატა.

ვამბობდი, რომ ქვეყნიერებაზე არაფერი შეედრებოდა ამ დღეების სილამაზეს...

მაგრამ ერთ დილას გავიღვიძე და ცა მოღრუბლული დამხვდა. ნისლებს დაებურა ირგვლივ მთები. გულწითელები ჩუმად იყვნენ, ვენახებიდან ამობოლებული კაკლების კენწეროების იქით ჭალაში ჩასასხდომად ტრიალებდნენ ჩხართვები, დავინახე — აქა-იქ, ნელა, ტაატით ეშვებოდნენ ფიფქები. ჩემს თვალწინ, შავ ტოტებსა და ყვითელ ფოთლებში იმატა და იმატა თოვამ. დაიწყო ნამდვილი ბარდნა, — ოო, დაკორძილი შავი ტოტები და ყვითელი ფოთლები თეთრი ფიფქების ვუალში! — და წამოვიძახე, რომ ეს დღე კიდევ უფრო ლამაზი იყო, ვიდრე წინა დღეები.

შუადღისთვის უკვე თოვლით იყო ჩამობარდნილი ყველა ხე და ღობე, თოვლს დაელუნა მაღალი ბალახები, კვლავაც თოვდა, და გადავწყვიტე, წავსულიყავი, მენახა ამ თოვაში ერთი ჩემი საყვარელი ხე — ბებერი თელა ლურჯ კლდეებში. ჩავიცვი საჩიხიანი ქურთუკი, რეზინის ჩექმები, ავიღე ჩემი შვინდის მძიმე ჯოხი და გავუდექი გზას.

საჩიხი არ მშველოდა, მაინც სახეზე მადნებოდა ფიფქები. დაბურულებიდან ჭახჭახით მიფრინდებოდნენ შაშვები. თითქოს მათს შავ ფრთებს სცვიოდა შვავად წამოსული თოვლი. გავედი გაშლილ ჭალაში. ცოტაზე ჩანდა ჭალა — თეთრად დამრგვალებული ვერხვები, მერე ნისლი იყო. მივდევდი ტყვიისფრად ჩამძიმებულ, ჩაყუჩებულ მდინარის ნაპირს, უფრო და უფრო ხშირად მეყრებოდა ფიფქები სახეში. ავედი გორაკზე, გადავხედე ლურჯ კლდეებს, დავინახე თეთრ ბურუსად ამობოლქვილი ბებერი თელაც იმ კლდეებში (ფრიალოებზე ფეხს ვერ იკიდებდა თოვლი), ჩავედი დაბლა, გავრბოდი კიდეც თავქვეებში, მივუახლოვდი, გავჩერდი ასიოდე ნაბიჯზე, დავეყუდე ჯოხს და ახე ვუყურებდი.

ო, რა სანახავი იყო კლდის კვარცხლბეკზე მდგარი ის თელა — დიდი, თეთრად გადაბარდნილი, კიდევ უფრო გაბუმბერაზებული, საზეიმო მუსიკად ჩამომავალ ბრტყელ ფიფქებს მიყურადებული! და პირველად აქედან დავინახე — ზედ ეჯდა ლეგა მარტოსული ქორი, მხრებწამოწეული, თავჩაღუნული. რას აკეთებდა ქორი ამ თოვაში თელაზე? ხანადიროდ გამოსულს არ გავდა, თითქოს თვალები დახუჭულიც კი ჰქონდა. წავედი ფეხაკრეფით. ქორი არ იძვროდა, თვალები ნამდვილად დახუჭული ჰქონდა. დავკარი ფეხი, და ვიყვირე, — ჰაე! გამოფხიზლდა, აიწია, დაიქნია ფრთები, ჩამოყარა თოვლი, აფრინდა, ერთი შემომიფრინა ირგვლივ, მერე წავიდა მაღლა-მაღლა, იქ კლდის ფხაზე დაჯდა, იქიდან იყურებოდა დაბლა. კიდევ და კიდევ შევძახოდი, — ჰაე! ჰაე! მაგრამ ფეხი აღარ მოუცვლია. ცნობის წადილით მადევნებდა თვალს.

მე მივედი თელასთან, ჯერ ჯოხის წვერით მოვუჩხრიკე ფუღურო, მერე ავყურებდი ერთმანეთში გახლართულ მსხვილსა და წვრილ ტოტებს. თვალებში მიცვივდებოდა ფიფქები. დამეხვა თავბრუ, გავიცინე, ვკარი წიხლი ზროზე, — „გატოკდი, მე აქა ვარ!“ მაგრამ ძვრა ვერ ვუყავი ბებერს, საგონებელში წასულს.

— ეეე!.. დავიძახე ერთხელაც.

ამაოდ ველოდი ექოსაც კი...

წამოვედი.

აღმართს რომ შემოვუდექი, მხოლოდ მაშინღა მივხედე თელას. ქორი ირგვლივ უვლიდა ფრენით. მერე დააჯდა, მხრები ისევ წინ წამოსწია, თავი ჩაქინდრა. იჯდა, არ იძვროდა. მარტო ფიფქები ჩამოდიოდნენ მასთანაც და ჩემთანაც ზეიმით.

— ოო, რა ლამაზია...

არა, ყველაფერზე ლამაზი მაინც შენა ხარ შენი ჭკვიანი თვალებით, დედოფალივით რომ დგახარ სხვებს შორის და არაფერი გიკვირს ამქვეყნიური.

# მხოლოდ ათი წუთი

მე რვაზე მივედი, რვას რომ წუთი უკლდა. მინდოდა, სათქმელად მქონოდა რომ სიზუსტე მიყვარდა, მაგრამ მიმოხედვაც ვერ მოვასწარი და ისიც გამოჩნდა. თაფლისფერ თხელ საწვიმარზე თითქოს ზედმეტად ღონივრად ჰქონდა შემოჭერილი ქამარი. მარცხენა ხელის იდაყვით ღონივრადვე ეკავა იღლიაში ამოდებული ჩანთა. ღონივრად მოადგამდა ნაბიჯებსაც და, ოდნავ თავდახრილი, ქვემოდან მიღიმოდა. მე აღტაცებით ვუყურებდი. ენერგიულად გამიჩერდა წინ, ფეხი ფეხს მიადგა. ლაწვისთავები მქრქალად შეეწითლებინა, ტუჩებზეც პომადა ესვა. ქვედა ტუჩს, რაღაცის გაუგებრობის ნიშნად, ბავშვივით ბუსხავდა, მხრებსაც მაღლა სწევდა.

— რა ვქნათ?

— თქვენ მიბრძანეთ. — მივუგე მე.

— როგორ გეკადრებათ.

მე ისევ გაბრწყინებული შევყურებდი. ბოლოს ვუთხარი:

— რესტორანს და ასეთ რაღაცეებს ვერ შემოგბედავთ. უმშვენიერესი საღამოა, შევიდეთ ბაღში დავსხდეთ ცოტა ხანს.

— ჰოო? — იკითხა მან.

მე ვერ მივხვდი, რა კითხვა იყო ეს. მაინც ვანიშნე:

— აი, იქ.

წავედით, სკამზე დავსხედით. ოქტომბრის საღამო იყო. ჰაერი არ იძვროდა. აკაციების მილიონობით ფოთოლი მაინც ციმციმებდა ელნათურების შუქზე. ელნათურების შუქი გაზონებსაც ხასხასა მწვანე ფერს აძლევდა. ჩვენს მახლობლად, ჩინურ ვაზაში, წყალი ლუკლუკებდა. ცოტა მოშორებით ბიჭი და გოგო ისხდნენ. ბიჭს გოგოს თავზე ხელი ედო.

— უპირველეს ყოვლისა, მადლობა უნდა გადაგიხადოთ, რომ მოხვედით.

სიტყვებს თავს ძლივს ვუყრიდი. სიგარეტის ამოღება დავაპირე. გადავიფიქრე.

— რატომ? — გულწრფელი ცნობისმოყვარეობით შემომანათა თვალები.



— არ მეგონა, თუ თქვენისთანა მშვენიერი ქალი მართლა დამეთანხმებოდა ასეთ შეხვედრაზე.

— როგორი შეხვედრაა ეს?

გამეცინა, მაგრამ ვფიქრობ, მაინც იგრძნო, ეს გულწრფელად თუ გულუბრყვილოდ დასმული კითხვა, არ მესიამოვნა. მაინც თვალმოუშორებლად შემომყურებდა.

— ვიყოთ გულახდილნი.

— რა თქმა უნდა.

— მე თქვენ მიყვარხართ. ეს თქვენ უკვე იცით.

თვალი არ დაუხამხამებია. ჩაუდგა მხოლოდ მთლად შეუმჩნეველი ჩრდილი.

— მიყვარხართ დანახვის პირველი წუთიდან.

ახლა კი მოუმატა ღიმილს.

— ვიცი.

— მე ოცდათოთხმეტი წლისა ვარ, თქვენ ოცდაცხრისა. დაჭერობანას ველარ ვითამაშებთ. ცოლად გამომყევით.

ჩემს მაღლა წაიღო მზერა.

— ბიოლოგი ვარ. კანდიდატი. დედა მყავს, ძველი ბიბლიოგრაფი, თქვენი ყველაფერი ვიცი.

— რა ყველაფერი? — დაინტერესდა.

— სად მსახურობთ. სად მსახურობენ თქვენი მშობლები, თქვენი და.

— სასიამოვნოა.

— ბინა ისეთი არა მაქვს, თქვენ რომ გაგახაროთ, მაგრამ ბინის საკითხი ახლა უკვე ისე რთული არ არის, როგორც წინათ, ბინას მივიღებთ.

— რა თქმა უნდა.

— მე თქვენ გპირდებით...

ისევ გამოეხატა ცნობის წადილი.

— თუ ერთმანეთი გვეყვარება, თუ თქვენც გეყვარებით, ბედნიერები ვიქნებით.

— რა არის ბედნიერება?

— სიყვარული.

— ჰოო? მე რომ არ მიყვარხართ?

ელვამ გამირბინა სხეულში. წამოვდექი. ისიც წამოდგა. მეც მეღიმებოდა, იმასაც. იმას ლამაზად, უმანკო ბავშვივით.

— ახლა არა. მერე თუ გეყვარებით.

— არც მერე მეყვარებით.

— მაშ... მაშ რატომღა მოხვედით?

— ამის სათქმელად: რომ არ მიყვარხართ, არც არასოდეს მეყვარებით. მე მგონი განმარტებას არ მომთხოვთ, რატომ. არც დანას შემირჭობთ მუცელში.

მე აღარაფერი მითქვამს. მხოლოდ ვუყურებდი. კიდევ იმედი მქონდა, რაღაცას თამაშობდა. არა. ძალიან მშვიდად შემომყურებდა.

— ბაღიდან გამაცილეთ.

წავედით. ბაღიდან გასული, მომაბრუნა.

— საკმარისია. ნუღარ გამომყვებით. სიყვარულობანაში კოცნით უხდიან, არა, ერთმანეთს?

დაიხარა და მაკოცა.

— მშვიდობით. — მიბრუნდა და წავიდა რაღაც გაჯიბრებული ნაბიჯით.

მე სიგარეტი ამოვიღე.

ერთი თვის წინათ, მეგობრის დღეობაზე, პირველმა მან მითხრა პირველი სიტყვა:

— რატომ გაქვთ ეგეთი ნაღვლიანი თვალები?

თან ყავით მკითხაობდა.

მე იგი მაშინვე...

მე იგი არც ახლა მძულდა.

ისე, — მეღიმებოდა.

საათს დავხედე. მხოლოდ ათი წუთი იყო გასული რვიდან.

ამ დახედვის დროს თუ გადამცდა თვალიდან, საით წავიდა, ვეღარ დავინახე.

ირგვლივ — ფოთოლიც კი არ გატოკებულა ზედმეტად.

მაინც მეჩვენებოდა — კუშტად შეკრული შავი ხაშიში ღრუბელიც წამომდგომოდა თავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბედნიერება

კუბაში ცნობილია მარია-ელენ გონსალესის სახელი. იგი პირველი ქალია, რომელიც შაქრის ლერწმის საკრეფ კომბაინის „კტპ“-ს საჭეს მიუჯდა. კაცი მექანიზატორები სკეპტიკურად უყურებდნენ იმ ამბავს, რომ ქალი კომბაინზე 10-12 საათს ტროპიკული მზის ქვეშ, აგრეგატების განუწყვეტელ ხმაურში მჯდარიყო. ეს წარმოუდგენელი იყო. მარია-ელენმა არაჩვეულებრივი შეუპოვრობა და გამძლეობა გამოიჩინა. მან თავი არ მიანება მძიმე სამუშაოს. სამი წლის შემდეგ, საფრის დროს (ასე ჰქვია კუბაში შაქრის ლერწმის მოსავლის აღების სეზონს) 1981—1982 წლებში იგი პირველი „მილიონერი“ ქალი გახდა, რომელმაც მილიონი არობი შაქრის ლერწამი აიღო (ერთი არობი უდრის 11,5 კგ-ს). ასევე კარგად იმუშავა ბოლო ორ საფრაში და გამარჯვებული გამოვიდა ქალთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში.

...გზა დაბა კოლისეოსაკენ მიდის, რომელიც ხოველიანოს მუნიციპალიტეტში (მანტასას პროვინცია) მდებარეობს. გზა მართლაც ლამაზია, ოდნავ ამაღლებულ შაქრის ლერწმის პლანტაციებს შორის მიემართება.

უკან დარჩა ქალაქ მანტასას პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი, რამდენიმე ათეული დაბა, რომლებიც დაფარულია მწვანე შაქრის ლერწმის პლანტაციებით, ლიმონისა და ფორთოხლის კორომით, მალანგის ნარგავებით და სხვა კულტურებით.

მანქანას წითელი მტვერი მოჰყვება. კუბის ამ რაიონის წითელმიწა ნიადაგი უხვმოსავლიანობით გამოირჩევა. ხელმარცხნივ შაქრის ქარხნების „გრანმა“ და „ბატალია დე იაგუახაი-ს“ მილები გამოჩნდა, რომლებიც დაბა კოლისეოს ცენტრით მსხვილ აგროსამრეწველო კომპლექს „კარლოს როხას-ში“ შედის. ეს ქარხნები შაქრის ლერწმის გადამუშავებაზე სპეციალიზდება.

მარია-ელენს — საშუალო ტანის, ახალგაზრდული გარეგნობის, ქერა, კეთილ, მორცხვად მომღიმარ ქალს კომპლექსის სამმართველოში შევხვდით.

— ტექნიკა ჩვენი ოჯახის გატაცებაა, — ამბობს ის, — ჩემი ქმარი და ერთი ძმა მექანიკოსები არიან, ორი ძმა კი შაქრის ლერწმის საკრეფი კომბაინის ოპერატორად მუშაობს. 1973 წელს თავისებური „საოჯახო ბრიგადა“ ჩამოყალიბდა. პირველ ხანებში აღმრიცხველი ვიყავი, თუმცა ტექნიკა უფრო მიზიდავდა. ძმები ხშირად მიხმობდნენ რემონტზე მისახმარებლად.

კომბაინები — „კტპ“-ს ტიპის პირველი საბჭოთა კომბაინები მე განსაკუთრებით მაინტერესებდა, და როცა მათ არემონტებდნენ, მეც სიამოვნებით ვმონაწილეობდი. ამგვარად ძირფესვიანად შევისწავლე ეს მძლავრი მანქანები და დავეუფლე მათს მართვას.

ერთხელ 1977 წელს კომპლექსის დირექტორმა მკითხა: მარია-ელენ, დასძლევ კომბაინს? და საჭე შემომთავაზა. ასე გადაწყდა ჩემი ბედი.

მართალია, სიძნელეები არის —. ამბობს მარია-ელენი, — ჩვენს კომპლექსში ორი დიდი შაქრის ქარხანაა, რომლებიც სეზონში ნედლეულით უნდა მოვამარაგოთ. ზოგჯერ 12 საათზე მეტხანს მიხდება მუშაობა, ხოლო საფრის პიკის დროს ღამეც ვმუშაობ. ჩვენს კოლექტივში კარგი ხალხია, მაგრამ მეგობრული, ყოველთვის მეხმარებიან, გვერდში მიდგანან სიტყვითაც და საქმითაც.

იმ ცნობას, რომ მე კომბაინი უნდა ვმართო, ოჯახი შეგნებულად შეხვდა.

მამაჩემს, რომელსაც ახალგაზრდობაში გროშების გულისათვის ბევრჯერ მოუხდა საფრის ხელით აღება, მაშინვე მოეწონა ჩემი ნაბიჯი.

ასევე მიიღეს ჩემი გადაწყვეტილება ჩემმა მეუღლემ, ძმებმა და შვილებმა.

— მარია-ელენი ჩვენი კოლექტივის სიამაყეა — ამბობს კომპლექსის პარტკომის მდივანი პედრო მედინა, სამი სეზონია ის მილიონ არობ შაქრის ლერწამს იღებს. სხვათა შორის, საკუთარი რეკორდები მან საბჭოთა წარმოების კომბაინზე დაამყარა, რომელმაც, ნორმით გათვალისწინებული ხუთის ნაცვლად, რვა სეზონი იმუშავა. ასეთ მიღწევებს ზოგჯერ კაცებიც ვერ დაიტრაბახებენ. მარია-ელენი თავის მიღწევებს ზღვრად არ თვლის. მან ივალდებულა მიმდინარე სეზონში ორი მილიონი არობი ლერწამი აიღოს.

მარია-ელენის ოცნებაა საბჭოთა კავშირი მოინახულოს. — მე ვიცი, ამბობს ის, — რომ საბჭოთა კავშირში ბევრი ჩემი თანატოლი ასევე წარმატებით ეუფლება ახალ ტექნიკას, ითვისებენ „კაცურ“ პროფესიას. ძალიან მინდა გავეცნო მათს ცხოვრებას, მათს ინტერესებს, პრობლემებს.

მარია-ელენ, ბედნიერი ხართ? — ვეკითხები მე. ის დაფიქრებით მიპასუხებს: — რევოლუციამ ყველა გზა გაგვიხსნა, მოგვცა სწავლისა და მუშაობის საშუალება, საქმესაც სურვილისამებრ ვირჩევთ. დიახ, მე ბედნიერი ვარ, საყვარელ საქმეს ვემსახურები. მიყვარს მინდორი, მიყვარს ტექნიკა, რომელზეც ვმუშაობ. ჩემი ოცნება ასრულდა. მე ოჯახი მაქვს, მყავს შვილები, ჩემი შრომით, თუმცა არც ისე დიდით, პატარა წვლილი შემაქვს ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, ხალხის საკეთილდღეოდ, სოციალიზმის მშენებლობაში. განა ეს ბედნიერება არ არის?

**ა. ვოროპაევი,**
**საკდესის კორესპონდენტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძალი სიყვარულისა

ყოველივე სასიკეთოს საზოგადოება სიხარულით ილებს და სულ მალე გაითავისებს, ბუნებრივადაც კი მიიჩნევს. უკვე შევეჩვიეთ, ყოველი „თბილისობისათვის" ერთი ან რამდენიმე მნიშვნელოვანი ახალი თუ რესტავრირებული ნაგებობა რომ ემატება ჩვენს დედაქალაქს. ერის სულიერი ენერგიის გადამრავლება ეკონომიკურ პოტენციალზე, ყოველმხრივი ხელის შეწყობა, უდიდეს შესაძლებლობებს ჰქმნის. ასეთ შესაძლებლობათა განსხეულების მოწმენი ვართ ყოველ ახალ „თბილისობაზე".

სადღესასწაულო რიტუალების სასახლე! ეს დიდებული, დახვეწილი გემოვნებით ხელდასხმული საჩუქარი თბილისელთათვის — და არა მარტო თბილისელთათვის,



— დასტურია იმისა, თუ რამდენი შეუძლიათ ხალხის სასიკეთოდ აღძრულ ადამიანებს.

ეს ხუროთმოძღვრული ნაგებობა, რომელიც ჩვენი დედა მდინარის — მტკვრის მარცხენა, შემაღლებულ სანაპიროდან გადმოჰყურებს ძველი თბილისის უბნებს, სისადავისა და სიდიადის ნიმუში და დიდი ესთეტიური სიამოვნების წყაროა. ქართველ არქიტექტორთა (ვ. ჯორბენაძე, ვ. ორბელაძე, ე. მკერვალიშვილი) მთავარი კონსტრუქტორი გ. ფიცხელაური და მხატვართა ჯგუფის (ზ. ნიჟარაძე, ნ. ლორთქიფანიძე, გ. ჯაფარიძე) შემოქმედებითი თანამშრომლობის ნაყოფი — საზეიმო რიტუალების სასახლე, — ჩვენი ლამაზი დედაქალაქისათვის მეტად მნიშვნელოვანი შენაძენია; გემოვნებისა და სიმბოლური აზროვნების ჰარმონიული შერწყმის შედეგია. ამიტომ იგი ერთდროულად მშვენიერიც არის და რაციონალურიც (ვგულისხმობთ მისი საზეიმო დარბაზების, სხვადასხვა დანიშნულებათა მცირე დარბაზებისა თუ საკლუბო და სამუშაო ოთახების განლაგებას). გაოცებთ მშვენიერებისა და რაციონალურობის შერწყმა-შეხამება.

ნატიფად ნაგები შენობა სავსეა მზით. დარბაზებში სინათლე ძველი, ქართული ხუროთმოძღვრული სტილის მიხედვით ზემოდან ეშვება, გასხივოსნებული ვიტრაჟების ათინათი კედლებზე დაცურავს და უზარმაზარი სივრცის სრულ ილუზიას ქმნის. დარბაზების შიდა ფართობს ვიზუალურად კიდევ უფრო ადიდებს ნ. ლორთქიფანიძის ის ორი ფერწერული ტილო, რომლებიც ცენტრალური სარიტუალო დარბაზის კედლებს ამშვენებს. ამ დარბაზს უდიდეს მომხიბვლელობას ანიჭებს მხატვარ ზურაბ ნიჟარაძის ფრესკული კომპოზიცია. ფრესკის გვერდითი ფიგურების ოდნავ ქაოტური და ამიტომ თითქოს შემაშფოთებელი უღერადობა ცენტრალურ კომპოზიციაში ელეგიურ, დამშვიდებულ ტონალობაში გადადის, რაც თითქოს იმის მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ ადამიანმა გარკვეულ სულიერ წონასწორობას მიაღწია და რომ მას ამაღლებულის, სიკეთის ქმედების სურვილი უნდა დაეუფლოს. ამასვე მიგვანიშნებს ფრესკის მარჯვენა, ზემო კუთხეში გამოსახული ქალის ფიგურა: იგი ჩიტებს გალიის კარს უღებს, აქვეა ბერიკების ნიღბიანი ფიგურები... ავტორმა თავისი პერსონაჟები კოსმოსში დაასახლა და ამით ჩვენში უსასრულობის განცდა აღძრა... ყოველივე ნახულისა და განცდილის შედეგად თითქოს დევიზივით გაისმის: ირჩიე ქმნა სიკეთისა!

სასახლის ინტერიერს კიდევ უფრო ამდიდრებს გ. ჯაფარიძის ესკიზებით შესრულებული მრავალი ჭაღი და კედლის დეკორი. აქ მომსვლელნი უთუოდ გაითავისებენ ამ სილამაზეს, მაგრამ ასევე უთუოდ თავადაც გასცემენ სიყვარულის, სიკეთისა და აღტაცების საზღაურს. ამაღლებული განცდა, რომელიც ამ ტაძრიდან გამოაქვს ახალგაზრდას, ლაიტმოტივად გაჰყვება მთელ მის ცხოვრებას.

სასახლის წინ დაიდგმება დიონისეს ქანდაკება, როგორც ცხოვრების მაჟორული საწყისის, ნაყოფიერებისა და სიცოცხლით ტკბობის სიმბოლო, როგორც მინიშნება ვაზის კულტისა, რაც საქართველოს უპირველესი მახასიათებელია.

ამ ბოლო ხანებში ხშირად ლაპარაკობენ და პრესაშიც

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# სადღესასწაულო რიტუალების სასახლე



გამოითქვა აზრი, რომ ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ქორწინების, ბავშვის სახელდების ცერემონიალს აღნიშნავს ეკლესიაში, რასაც ზოგნი იმით ხსნიან, თითქოს ახალგაზრდას ამისაკენ უბიძგებს სიძველთადმი გაუცნობიერებელი ლტოლვა და რომელიც, თავისთავად, თითქოს რომანტიკად აღიქმება. გამოდის რომ ახალგაზრდებს სურთ მიიღონ რაღაც ამაღლებული, ლამაზი, წმინდა, იღებენ კი საზეიმო ცერემონიალის ისეთ ფორმას (ეკლესიაში ჯვარისწერა, ნათლობა), რაც თავად მათში ბოლოს მხოლოდ შემწყნარებლურ, ირონიულ ღიმილს იწვევს.

სწორედ ამიტომ გვეჩვენება სრულიად დროულად და გამართლებულად საღ და გონივრულ საფუძველზე აღმოცენებული და დღესდღეობით უკვე რეალობად ქცეული სურვილი ჩვენი საზოგადოებისა — შევუქმნათ ახალგაზრდებს ამაღლებულის მომხიბლაობა და ამასთანავე ახალი აზრით დავტვირთოთ სხვადასხვა საზეიმო რიტუალების აღსრულების ლამაზი ფორმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა









და აი, ასეთი ტაძარი უკვე გვაქვს! აქ სხვადასხვა საზეიმო ცერემონიალის შესრულებისას გუნდები იმღერებენ საზეიმო, სარიტუალო სახოტბო სიმღერებს, ჰიმნებს; მოხდება საზეიმო შეუღლება-ქორწინება, აღინიშნება ვერცხლისა და ოქროს ქორწილები, მოეწყობა გამოფენები, შესრულდება საუკეთესო სტუდენტისა, მუშისა, მოსწავლისათვის საპატიო სიგელებისა თუ ბავშვებისათვის სახელის დარქმევის ცერემონიალი.



ახალი წესებით ძველი რიტუალების შესრულებას რევოლუციის პირველ წლებშიც ცდილობდნენ. რევოლუციური ტრადიციების მქონე ბევრ ოჯახში დღევანდლამდე არის დაცული იმდროინდელი ფარატინა ქაღალდები, რომლებსაც ბავშვის მშობლების ახლო მეგობრები აწერენ ხელს, ლოცავენ პატარას, სასიქადულო მამულიშვილობას უსურვებენ. ახლის მაძიებელ მაშინდელ ახალგაზრდებს მხოლოდ ოცნება თუ შეეძლოთ ეკონომიურად ისეთ ძლიერ სახელმწიფოზე, რომელიც ააშენებდა სასახლეებსა და სარიტუალო ტაძრებს, რომელთაც საუკუნეებით განმტკიცებულ მშვენიერ ფორმებში ახალი შინაარსის ჩადებით შეეძლოთ უნიკალური ფენომენის დამკვიდრება ხალხის ცხოვრებაში. ყველაფერი, რაც დღეს ჩვენთან ასე ამაღლებულად, სრულყოფილად კეთდება ამ მიმართებით, მათი ნაფიქრალის ხორცშესხმაც არის. ამიტომაც საბჭოური ცხოვრების დასამკვიდრებლად გაწეული შრომა ჩვენს მამა-პაპათა უკვდავსაყოფი ძეგლიც არის. რა შეუძლია ღირსეულ შთამომავალს იმაზე მეტი, ვიდრე იმ პირველმეოცნებეთა ნატვრის ასრულებაა!

ამიერიდან ყველას ექნება საშუალება საზეიმოდ, ლამაზად, ფერადოვნად აღნიშნოს ყველა ღირსსახსოვარი დღე თავის ცხოვრებაში. ამისათვის გამოცდილი, ენერგიულ მუშაკთა მთელი არმია (300 თანამშრომელი) ემსახურება რიტუალების სასახლეს, რომელსაც თავისი საქმის ენთუზიასტი, ახალგაზრდა ქალი ელზა სვიმონიშვილი და მისი მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ო. მხეიძე უდგანან სათავეში. მათ უხვად აქვთ და უშურველად გასცემენ კეთილგანწყობილებასა და კეთილმოსურნეობას.

თბილისის სადღესასწაულო რიტუალების სასახლის აშენება, მისი მრავალმხრივი და ხალხისათვის სასარგებლო და აუცილებელი საქმიანობა შესაძლებელია მხოლოდ დიდი ყურადღების ატმოსფეროში, ყურადღებისა, რასაც ხალხისა და საქმისადმი სიყვარული უდევს საფუძვლად, ხოლო როგორც მწერალი ბრძანებს „ძალი სიყვარულისაი დიდ არს, რადგან შეუძლებელსაც შესაძლებლად ხდის."

ჯულიეტა მჭედლიშვილი-გაჭრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „საქართველოს მუშა ქალთა ფურცელი“

ახლა ძნელი წარმოსადგენია, რომ იყო დრო, როცა ქართველ ქალებს თავიანთი ბეჭდვითი ორგანო არ ჰქონდათ. მენშევიკების უბადრუკი ბატონობის პერიოდში ასეთი გამოცემის საჭიროება განსაკუთრებული სიმწვავით იგრძნობოდა. ეს გაითვალისწინა გაზეთ „ახალი კომუნისტის“ რედაქციამ და 1920 წლის 12 სექტემბრიდან თავისი მეოთხე გვერდი პერიოდულად დაუთმო „საქართველოს მუშა ქალთა ფურცელს“, რომელმაც გარკვეული ამაგი დასდო მშრომელ ქალთა გათვითცნობიერებას.

„საქართველოს მუშა ქალთა ფურცლის“ ერთ-ერთ სტატიაში („ჩვენი მუშა ქალები და მათი შეკავშირება“) აღნიშნული იყო, რომ ქალის შრომა გაცილებით იაფი და მომგებიანია და, ცხადია, ქალს კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობათა განვითარების პერიოდებში უმოწყალოდ ჩაგრავენ, ექსპლოატაციას უწევენ, პირველი მსოფლიო ომის შედეგად ბევრად გაიზარდა წარმოებაში ჩაბმულ ქალთა რიცხვი. ამას კი ბუნებრივად მოჰყვა ქალებში შეგნებისა და პროლეტარიატისადმი სოლიდარობის გრძნობის გაღვივება.

„მართალია, ქართველი ქალი ამ მხრივ ჩამორჩა, — ეწერა სტატიაში, — მაგრამ პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა: შეიქმნა ყოველკვირეული „საქართველოს მუშა ქალთა ფურცელი“, რომლის დანიშნულებაა გააშუქოს ქართველი მშრომელი ქალის ყოფა-ცხოვრება, სხვა ქვეყნებში ქალთა მოძრაობის მდგომარეობა (მართლაც, მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ქალთა მოძრაობის აქტუალურ პრობლემებზე იყო „ფურცელში“ საუბარი—მ. მ.), ხელი შეუწყოს ქალთა გათვითცნობიერებასა და შეკავშირებას, მათი შეგნებისა და კულტურის დონის ამაღლებას“.

„ფურცლის“ მესამე ნომერში დაიბეჭდა კომუნისტ ქალთა მოსკოვის პირველი საერთაშორისო კონფერენციის ანგარიში და ამ საერთაშორისო ფორუმის მიმართვა ყველა ქვეყნის მუშა ქალებისადმი. მიმართვაში ნათქვამი იყო:

„მთელი მსოფლიოს თითქმის ნახევარზე მეტი ქალი პოლიტიკურად უთანასწოროა. კაპიტალიზმის ბატონობის დროს ქალი ვერასოდეს ვერ ეღირსება თანასწორობას. მხოლოდ კომუნისტური ინტერნაციონალის გამარჯვება გაათანასწორებს ქალს მამაკაცთან, იხსნის მონობისაგან, აქცევს ამხანაგად და არა მონად.

მიმართვაში ხაზგასმულია, რომ მხოლოდ ხელისუფლების თვისებრივად ახალი ფორმა — საბჭოები ითვლება ჩაგრულ ქალთა ნამდვილ გამათავისუფლებლად, ამიტომ საჭიროა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა.

„ჩვენ გვავიწროებს ეკონომიკური უთანასწორობის გამო მძიმე მატერიალური პირობები, — ვკითხულობთ მიმართვაში, — კომუნისტური ინტერნაციონალის გამარჯვება, სოციალისტური რევოლუცია მოსპობს ამ ეკონომიკურ უთანასწორობას. მისი გამარჯვება ჩვენს შრომის ნაყოფიერებას გააორკეცებს, რადგანაც ჩვენ გვეცოდინება, რომ ვშრომობთ საკუთარი თავისათვის და არა ვილაც მუქთახორებისათვის. ჩვენ გვავიწროვებს ოჯახის გაძღოლის ყოველდღიური ზრუნვა, ოჯახის გაჭირვება, ოჯახური აღზრდა. კომუნიზმის გამარჯვება მოგვცემს საშუალებას მოვაწყოთ ჩვენი შვილების საზოგადოებრივი აღზრდა. გაგვათავისუფლებს მძიმე ბორკილისაგან არა სიტყვიერად, არამედ საქმით, გვიხსნის სიბნელისა და ჩამორჩენილობისაგან“.

ამგვარი მგზნებარე სიტყვები ბრძოლისა და გამარჯვების სურვილით აღავსებდა ქართველ ქალებს.

„ფურცლის“ ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო წერილი „პროლეტარიატი და ქალთა მოძრაობა“, რომლის მთავარ აზრს გამოხატავდა სიტყვები: „კაცობრიობის განთავისუფლება არ მოხერხდება ისე, თუ არ გათავისუფლდა დედაკაცი, ეს მთელი კაცობრიობის ნახევარი“.

„საქართველოს მუშა ქალთა ფურცლის“ რედაქცია კარგად იცნობდა მშრომელი ქალების ყოფას, გვიხატავდა მათს მძიმე შრომას, კაპიტალისტთა მიერ მათს უსინდისო ყვლეფას. ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია კორესპონდენცია „ხმა საბაჟო არტელიდან“, რომელშიც ნათქვამია: საბაჟოსთან არსებობს შრომის არტელი. აქ მომუშავე სამოცამდე კაცი შტატში ირიცხება, დანარჩენები კი დღიური მუშები, წუმწუმის დამამზადებელი ქალები არიან ხან ასი და ხან ნაკლები. შეუძლებელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ ექსპლოატაციას უწევენ ამ ქალებს. მათ არ მიუღიათ ერთდროული დახმარება. პროფესიული კავშირის თავმჯდომარე მეარტელეებს იცავს — ვერ შეძლებენ ქალთა მოთხოვნების დაკმაყოფილებასო. და ეს მაშინ, როდესაც წუმწუმის კოლოფის ბანდეროლის შემოკვრისათვის მამაკაცები 50 კაპიკს იღებენ, მუშა ქალებს კი მხოლოდ 8 კაპიკს აძლევენ. გარდა ამისა, ზოგიერთ ყუთში 7.200 კოლოფი წუმწუმა ეტევა, ზოგში 10 ათასი, შრომა კი ერთნაირად ნაზღაურდება“.

მწვავე პრობლემების ღრმა და საფუძვლიანი ანალიზით, პირდაპირობითა და სიმართლით „საქართველოს მუშა ქალთა ფურცელმა“ ღირსეული როლი შეასრულა უკეთესი მერმისისათვის საბრძოლველად ქართველი ქალების შეკავშირებაში. მის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი „საქართველოს მშრომელ ქალთა კომუნისტური შეკავშირება, შეკავშირება და კიდევ შეკავშირება!“ ათასობით მშრომელმა ქალმა აიტაცა. ბორკილების დასამსხვრევად გაჩაღებულ ბრძოლაში ქართველ ქალებს აღაფრთოვანებდა საბჭოთა რუსეთის მუშა ქალების გმირული მაგალითი, რომლებმაც გამარჯვების წითელი დროშა აღმართეს და საუკუნეობრივი მონობისაგან გათავისუფლდნენ. „საქართველოს მუშა ქალთა ფურცელი“ ამ მაგალითზე მრავალგზის მიუთითებდა და უნარიანად რაზმავდა საქართველოს პროლეტარიატსა და გლეხობას საბჭოთა წყობილების გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

მ. მშვიდობაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხალხი არავის გაუღებს ტყუილად გულისკარს

აი, წინ მიდევს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1984 წლის 30 ივლისის ნომერი. რედაქცია ვეტერან ახკომელს ივლიტა მესხიშვილს დაბადების დღეს ულოცავს: „რადიოში, ტელევიზიაში და პუბლიცისტიკის ყველა სფეროში ერთნაირი ძალით იჩინა თავი თქვენმა ნიჭმა, ინტელექტმა, ერუდიციამ და სიკეთემ... წარმოუდგენელია მსგავსი სიმტკიცე, სიდინჯე, წონასწორობა, იმ დიდბუნებოვნებასა და უშუალობასთან ერთად, თქვენ რომ იჩენთ პრინციპული სამსახურებრივი საკითხების გადაწყვეტისა თუ ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობისას“.

ეს სიტყვები კარგად ხატავს რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტის ივლიტა მესხიშვილის პორტრეტს, რომელსაც სიზუსტესა და სინათლეს მატებს პარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიონული კომიტეტის აზრი, რომელიც რაიონული პარტიული კონფერენციისადმი მიძღვნილ, 1983 წელს გამოქვეყნებულ ბუკლეტშია გამოთქმული: „პირადი მაგალითის ძალა, კომპეტენტურობა, პროფესიონალიზმი, პოლიტიკური სიმწიფე, ორგანიზატორული ნიჭი, კოლეგიალობა, საქმის ერთგულება, თანადგომა ამხანაგობასა და მეგობრობაში... როდესაც ამ თვისებებზე ვლაპარაკობთ, უნებლიედ იკვეთება ივლიტა მესხიშვილის სახე... ვისაც კი მასთან ურთიერთობა ჰქონია, ყოველთვის უგრძვნია კომუნისტი ხელმძღვანელის ეს ყველა სასიქადულო ღირსება“.

აქ ყველაფერი მართლაც კარგად არის ნათქვამი, და მე, კაცმა რომ თქვას, რაღა დამრჩენია დასამატებელი!

ივლიტა მესხიშვილის ჟურნალისტური მოღვაწეობა ომის მრისხანე ქარიშხლის მიწყნარების ჟამს დაიწყო „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში. ახალბედა ჟურნალისტმა მორიდებით შეაღო ახალგაზრდული გაზეთის კარი. ცოტა ხანიც და, ქალიშვილს კალამი მოუმწიფდა, მის სტრიქონებს ნიჭის მადლი დაეტყო და მალე რედაქციის სასკოლო განყოფილების გამგედ დააწინაურეს.

კარგახანს მუშაობდა ამ თანამდებობაზე, მერე კი რადიოში გადაინაცვლა. რადიოსა და პრესაში ნაღვაწი და გამოცდილი ქალი შემდგომში ღირსეულად იდგა საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიისა თუ ტელევიზიის სათავეში და იქაც ხალხის სიყვარულისა და კაიქალობის კვალის მეტი არა დაუტოვებია რა. კინოსტუდიაში მისი მუშაობის წლები მარტო ორგანიზაციული საქმიანობით არ შემოფარგლულა. იქ მან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე დოკუმენტური ფილმის სცენარიც დაწერა, რომლებიც მასალის ახლებური დანახვით, სიუჟეტის ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩევა.

და აი, დღეს ივლიტა მესხიშვილი საქტელერადიოს სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა (ტელევიზიის დარგში). დიდი პოსტია, პასუხსაგები პოსტია! მაგრამ მრავალნაცადმა და ქართული ჟურნალისტიკის ქურაში გამოწრთობილმა ქალმა იცის სად, როგორ და რა უნდა გააკეთოს, როგორ უნდა გაუძღვეს საქმეს.

კომიტეტი სწორი გზით მიჰყავს მის ხელმძღვანელს, ნუგზარ ფოფხაძეს. ივლიტა მესხიშვილი მისი ღირსეული მხარში მდგომია.

ქალბატონი ივლიტა საოცრად წყნარი, მოკრძალებული და სიტყვაძუნწია. არ უყვარს ხმაური, თავის გამოჩენა. თუ რამეს იტყვის, ძალიან მოკლედ, კონკრეტულად, მაგრამ აზრიანად და საქმიანად! ხალხს მისი სჯერა, სწამს, თანამოსაქმენი პატივს სცემენ, ხათრს უნახავენ. და ეს ხომ ბევრ რამეს ნიშნავს! შემთხვევით ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ავტორიტეტსა და ხალხის სიყვარულს კი უსაფუძვლოდ ვერავინ მოიპოვებს, ხალხი ტყუილად არავის გაუღებს გულისკარს სასიყვარულოდ!

... აი, ქალბატონი ივლიტა ეთერში გასასვლელი ვიზის მისაცემად გადაცემას უცქერის. ტელევიზიაში ამას „ჩაბარებას“ უწოდებენ. და უნდა ნახოთ, ტექსტების ავტორები თუ რეჟისორები რა სულგანაბულნი მოელიან ხელმძღვანელის აზრს! ეს აზრი კი ყოველთვის ძუნწად, სულ ორი სიტყვით არის გამოთქმული, მაგრამ ჭკვიანურია, დასაბუთებულია და დამაჯერებელი.

ამ წერილისათვის აქ რომ დამესვა წერტილი, ცხადია, პორტრეტი დასრულებული არ იქნებოდა. ქალბატონ ივლიტას კარგ ქალობას დედობა, ოჯახისქალობა აგვირგვინებს. ის გამრჯე და პატიოსანი ოჯახის დიასახლისია. მისი მეუღლე ვაჟა ჯალაღანია, — გაზეთ „კომუნისტის“ პასუხისმგებელი მდივანი, — შრომაში აღამებს და ათენებს. ვაჟას საქმის ერთგულება და მუყაითობა მართლაც რომ ზღაპრად მოსაყოლია. რომ იტყვიან, კაცი შრომის ცეცხლში იწვის და სანთელივით იღვენთებაო, სწორედ მასზეა ზედგამოჭრილი.

ნამუსის გვირგვინდადგმული და საქვეყნო საქმისთვის თავდადებული მშობლები, რომელთაც კარგად ესმით, რომ ახალი, გასპეტაკებული, წინმსწრაფი საქართველოს სამსახური ყველა ქართველის წმიდა ვალია და ამ ვალის მოხდა კი მხოლოდ შრომითა და პატიოსნებით შეიძლება, — შვილსა და შვილიშვილებს საქმით უჩვენებენ სამშობლოს სიყვარულის მაგალითს.

ხალხის სიყვარული და ღირსეული ოჯახი! მეტი რაღა უნდა ადამიანის ბედნიერებას! ივლიტა მესხიშვილი ბედნიერი ქალია!

ა. ივანიძე

დ. იაკობაშვილის ფოტოები



ივლიტა მესხიშვილის დიდი ოჯახი

ალექსანდრე კუჭუხიძე,
პროფესორი.

13-14 აპრილი ხსოვნის დღეა

# მეგონა მარად იქნებოდა დედა



მხატვარი ნანი შალიკაშვილი

თბილისიდან სოფელში ყოველი ჩემი ჩასვლისას დედაჩემი ორჯერ ტიროდა — შაბათ დილით, როცა ეზოში შემოსულს დამინახავდა და კვირა საღამოს, როცა ჭიშკრამდე მაცილებდა.

მაშინ მიკვირდა, შემდეგაც მიკვირდა, სანამ ცოცხალი იყო სულ მიკვირდა, რატომ ტიროდა? — პირველ კურსზე, როცა ვსწავლობდი დედის მონახულებას თვეში ერთხელ ხომ ვახერხებდი, მეორე კურსზე ყოფნისას — ორ თვეში ერთხელ, მესამე კურსზე — სამ თვეში ერთხელ, ხოლო შემდეგ — წელიწადში ორჯერ—ზამთრისა და ზაფხულის არდადეგების პერიოდში. თან ხომ არ ვარცხვენდი. ვსწავლობდი წარჩინებით — სტალინის სახელობის სტიპენდიას ვიღებდი, ვიყავი ფაკულტეტის კომიტეტის მდივანიც. მიუხედავად ამისა ვგრძნობდი, ნამდვილად ვგრძნობდი ჩემი საქციელით დედა მაინც არ იყო კმაყოფილი.

...მალე გაივლის სტუდენტობის წლები, ჩამოვალ და შემდეგ არსადაც არ წავალ, აქ ახლოს ვიმსახურებ, ერთ ჭერქვეშ ვიცხოვრებთ, სულ შენთან ვიქნები — მეთქი, ვუთხარი ერთხელ. წარმოიდგინეთ, დაიჯერა, არა ასს, არა ორასს, არამედ ათას რვაას ოცდახუთ ცისმარ დილას ამ იმედით შეხვდა დედაჩემი. შეხვდა და, ეს დრო რომ გავიდა, მაინც მელოდა...

სადიპლომო პროექტი დავიცავი, სამუშაოზე გამოცხადების საგზური ავიღე, მუშაობაც დავიწყე, მაგრამ დედაჩემთან ახლოს კი არა, შორს, თბილისზე უფრო შორს —ბელგოროდში. შემდეგ? — შემდეგ საქართველოში კი დავბრუნდი, მაგრამ მუშაობა თბილისში გავაგრძელე, გავაგრძელე და დავიტვირთე სამსახურებრივი საქმიანობით, ცოლშვილის მოვლა — პატრონობით, ასპირანტურაში სწავლით. დედა? — დანაპირების შეუსრულებლობით გულდაწყვეტილი დედა ჩემგან კვლავ შორს იყო, სოფელში. მოუცლელობის გამო ახლა უფრო იშვიათად ვაკითხავდი, წერილსაც არც თუ ისე ხშირად ვწერდი.

ერთ-ერთ შეხვედრისას გაბრაზებული ხმით მითხრა: სიცოცხლე ცეცხლს მიაგავს შვილო, მისი დასაწყისი ალია, დასასრული — ნაცარი. ვიდრე ნაცრად ვიქცევით, უნდა გავახაროთ, უნდა გავათბოთ ერთმანეთი. ახლა მხოლოდ შვილების ნახვა მახარებს და მათბობს, სად ხართ, რატომ არ ჩამოდიხართ, ნუთუ არ გენატრებითო... დუმილის შემდეგ ვუპასუხე: რა ვქნა, დედი! მუშაობასთან ერთად სწავლასაც ვაგრძელებ, სამეცნიერო ხარისხის მაძიებლად ვარ გაფორმებული, დისერტაციაზე ვმუშაობ, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი ხუთ-ექვს წელიწადში უნდა დავიცვა, დოცენტიც უნდა გავხდე. შემდეგ კი თავისუფალი დრო ბევრი მექნება, ხშირხშირად ჩამოვალ შენთან-მეთქი. რა არისო ხარისხის მაძიებლობა, სამეცნიერო ხარისხი, დისერტაცია, დოცენტიო, მკითხა. ავუხსენი, გაუხარდა. ცრემლი მოიწმინდა, გადამკოცნა, ხელებზე მეამბორა... მეორე დღის საღამოჟამს კვლავ სურსათით დატვირთული ჭიშკრამდე კი არა, რკინიგზის სადგურამდე გამომაცილა, გამომაცილა ამჯერად თვალცრემლიანმა კი არა, ღიმილით სახეგაბადრულმა.

ნამდვილად არ მეჩვენებოდა, აშკარად ვგრძნობდი იმ დღიდან დედა უფრო მოღონიერდა და წელზე ფეხები დაიდგა, დღელამეს შრომაში ატარებდა, არ მოცდე შვილოო, და თვითონ ჩამოდიოდა თბილისში, ჩამოდიოდა ხელდამშვენებული — ჩამოჰქონდა და ჩამოჰქონდა სურსათ — სანოვაგე...

გავიდა წლები. დადგა ჩემი და დედაჩემის ნანატრი დღეც. დავიცავი სადისერტაციო შრომა. მომანიჭეს ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. დისერტაციის დაცვასა და სადისერტაციო ვახშამს დედაჩემი არ დასწრებია. იმ ხანად ავადმყოფობდა. მეორე დღეს მისგან დეპეშა მივიღე. გილოცავ დისერტაციის დაცვას, სიხარულმა ფეხზე წამომაყენა, მეზობლებიც აღფრთოვანებულია, ჩამოდი შენი მეგობრებით, ეს „დისერტაცია" აქაც გავმართოთო, მწერდა დედა. ეს თხოვნა კი ნამდვილად შევუსრულე. ცოლშვილითა და მეგობრებით ვეწვიე, და ჩვენს „სადესერტაციო" სუფრას ჩიტის რძეც არ დაჰკლებია.

შემდეგ? — შემდეგ უმაღლესი საატესტაციო კომისიიდან სამეცნიერო ხარისხის დამტკიცების შესახებ ცნობის მიღების მოლოდინში წელიწადი და ექვსი თვე ულიმღამოდ, უხალისოდ, კარჩაკეტილად გავატარე. ბოლოს ესეც მივიღე. კიდევ მეტი. კარგა ხნის შემდეგ ახალ თანამდებობაზე დამაწინაურეს. შემდეგ კი სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში განყოფილების გამგედ ამირჩიეს. ამირჩიეს და იმ დღიდანვე სადოქტორო დისერტაციაზე დავიწყე მუშაობა. სამუშაოში კისრამდე ჩავიძირე. სულ ცოტა, შვიდ თუ რვა წელიწადს ამ საქმეს მთელი შემართებით ვეჭიდე. დედა? — გულახდილად უნდა გითხრათ, დედა სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობამ თითქმის დამავიწყა. იგი ამასობაში თანდათან დაუძლურდა. თბილისში წინანდებურად ვერ ჩამოდიოდა. მე კი იმ ხანად წელიწადში ერთხელ, დიახ, მხოლოდ ერთხელ თუ წავიდოდი მასთან. იმ ერთხელ, გვიან ღამე რომ ჩავედი, ხატის წინ დაჩოქილს შევესწარი, — შვილების კარგად ყოფნას ეხვეწებოდა თავის წილ ღმერთს. როგორც კი დამინახა, ლოცვას თავი მიანება და მითხრა: ბიჭო, სწავლა როდისღა უნდა დაამთავრო, ეს დოქტორობა რაღაა, ახლა დოხტური უნდა გახდეო? ამჯერად არ მომიტყუებია, ნამდვილად არა. პასუხად ჩემი მტკიცე და საბოლოო გადაწყვეტილება გავაცანი. მკითხველო! დედას გეფიცები, ნამდვილად გეფიცები, მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი სადოქტორო დისერტაციის დაცვისა და მოსკოვიდან სათანადო დამტკიცების მიღების შემდეგ დედა თვეში ორჯერ, ზოგჯერ სამჯერაც მენახა, ხშირად დიდი ხნითაც დავრჩენილიყავ მასთან, ჩემი ალერსით, ჩემი საუბრით, ჩემი ზრუნვით გამელაღებინა იგი.

...იმ დღეს — 1972 წლის 13 მაისს დედაც თბილისში იყო. ამ დიდი საქმისათვის რაღა თარსი დღე აგირჩევიაო, მითხრა, მაგრამ ეს დღე თარსი არ გამოდგა ჩემთვის. სხვებთან ერთად სწორედ ამ დღეს დედამაც გადამკოცნა და მომილოცა „დოხტურობა" კი არა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორობა. მეორე თუ მესამე დღეს იგი სწავლულებით გაჭედილ საბანკეტო დარბაზშიც იყო, მთავარი დიასახლისის როლს ასრულებდა. მახსოვს, გუშინდელ დღესავით მახსოვს, აკადემიკოსების, პროფესორების სადღეგრძელოებს რა დიდი ყურადღებით ისმენდა და, ეს პატარა, გამხდარი, თმაჭაღარა ქალი, როგორ მაღლდებოდა, ფერი ემატებოდა, როგორ იკრეფდა ძალღონეს და დროდადრო რა დიდი სიამაყის გრძნობით გადმომხედავდა ხოლმე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

...მას შემდეგ კიდევ ერთი წელი გავიდა. ერთი წელია კი არა, მეტიც. ეს სამას სამოცდახუთი დღე-ღამე მართლაც ყველაზე უფრო მძიმე იყო ჩემთვის — დოქტორის სამეცნიერო ხარისხის დამტკიცება გვიანდებოდა, მოსკოვიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. დადარდიანებული ვიყავი მე, დადარდიანებული იყო დედაჩემიც. აფორიაქებული ვიყავი მე, აფორიაქებული იყო დედაჩემიც. მაგრამ ჩემი დადარდიანებული და აფორიაქებული სახე არ უნახავს მას, არც მე მინახავს მისი. მე კვლავ თბილისში ვიყავი, დედა — კვლავ სოფელში. ერთ დილით ტელეფონის აპარატში საქალაქთაშორისო ზარი აწკრიალდა. ყურმილი ავიღე. ამა და ამ დღეს მოსკოვში უნდა იყოთ, უმაღლესი საატესტაციო კომისიის სხდომას უნდა დაესწროთ, თქვენი საკითხი იხილებაო, მითხრეს. მე თბილისიდან მოსკოვს გავფრინდი. დედა? — სიზმრებს აყოლილი ჩემი დედა მეორე დღესვე თბილისში ჩამოსულა.

...22 დეკემბერს სასტუმრო „მოსკოვში“ გვიან ღამით დავბრუნდი, დავბრუნდი ამაღლებული და გამარჯვებული — სსრ კავშირის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მომანიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. სიხარულით ცამდე ამაღლებულს სასტუმროში ძილის წინ თვალწინ წარმომიდგა დედაჩემი, წარმომიდგა ჩემი დაუსრულებელი სწავლით „გაწამებული“ ცოლშვილიც, წარმომიდგა და წარმოვიდგინე რაოდენ გაახარებდა დედას ეს ცნობა, როგორ აღვისრულებდით ორივე დიდი ხნის ოცნებას — ხვალიდან, ზეგიდან, იმის ზეგიდან. მართლაც რაოდენად მოვიცლიდი და რა დიდი ხალისით დავიწყებდი დედაჩემის ხშირხშირად მონახულებას, რა გულით შევუდგებოდი მის კეთილდღეობაზე ზრუნვას. ამაზე ფიქრში ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ხაზზე თბილისიაო, მითხრა ტელეფონისტმა. „დედაშენი მძიმე მდგომარეობაშია, სასწრაფოდ უნდა ჩამოხვიდე, უშესავლოდ, მშრალად მომახალა მეულლემ...“.

დილის პირველი რეისით ჩამოვფრინდი თბილისში. ვიგრძენი რომ დედამ მიცნო. ნამდვილად მიცნო. დიდხანს მისვამდა ხელს სახესა და ხელებზე. ცდილობდა ეთქვა რამე. ვერაფერი მითხრა. თვალის ჩინი დაჰკლებოდა, მგონი სამუდამოდ დაშრეტოდა. რამდენჯერმე გავუმეორე ჩემი სახელი. რამდენჯერმე გავუმეორე, აგრეთვე, გამარჯვებული დაგიბრუნდი მეთქი. მოგვიანებით ნაწყვეტ-ნაწყვეტი და გაურკვეველი სიტყვების ბუტბუტი დაიწყო. ჯერ დოქტორის სამეცნიერო ხარისხის დამტკიცება მომილოცა, შემდეგ ამ დანაწევრებულ და შეუკრავ სიტყვებში ჩემი გარდაცვლილი დის სახელი ახსენა, გავარჩიე სახელი მამაჩემისა, რომელიც ოდესაშია დასაფლავებული, ახსენა სოფელიც, აქ, თბილისში არ დამტოვოო, ესეც თქვა. შემდეგ მოიკეცა, შეიკუმშა, კვლავ გაიშალა, ხელები გულზე დაიწყო და ჩამწვარ-ჩაღვენთილი სანთელივით ჩაქრა, ჩაიძინა, და აღარ გაუღვიძია.

დედა თბილისიდან აბაშაში, სოფელ ნაესაკოვოში, იმ ეზოში, იმ სახლში, სადაც მე დავიბადე, გადავასვენეთ... ოთახში მარტო დავრჩი, კუბოს გვერდით პატარა სამფეხა სკამზე ჩამოვჯექი. ჩამოვჯექი და დუმილშივე მწარედ ვიგრძენი დიდი დანაკარგისა და დიდი წუხილის სუნის ტრიალი. უცებ გამიელვა თავში, რომ ეს სახლი, ეს კარმიდამო, აურაცხელი ქათამი, ეზოში რომ ჯგუფჯგუფად, რაღაცას ბჭობდნენ, ის ძროხა და ხბო, ერთმანეთს რომ ეფერებოდნენ უკვე დედაჩემისა არ იყო, აქ იგი არასოდეს დამიხვდებოდა. შიშმა ამიტანა. ღია კარს ავეკარი, შემდეგ უცებ გარეთ გავვარდი. ცალკე მდგარ სამზარეულო სახლში შევედი. აქ მეზობლების შეკეთებული შუაცეცხლი ენთო. მთავარ ძელზე ნაჭა ეკიდა, კედლისაკენ ჩანდა წკნელზე ასხმული ხახვი, ნიორი, წიწაკა, კონა-კონა შეკრული ქონდარი... ლასტზე გადმოფენილი ტყლაპი... თაროებზე ელაგა ჯამ-ჭურჭელი... ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი, მაგრამ ადრინდელი სილამაზე და სითბო აქაც ვერ ვიგრძენი, სამზადი სხვისად მომეჩვენა, აქედან დედაჩემის ბოსტანში გადავედი. ბოსტანი კი ჯერ კიდევ მისად ჩავთვალე. იქვე ბოსტნის ღობეზე ჩამომჯდარი ვაკვირდებოდი კვადრატებად დაკვალულ ნაკვეთებზე ჩამორიგებულ კეჟერა მხალს, ჭარხალს, ბოლოკს, ქინძს, ნიახურს, ოხრახუშს, პრასას, რომლებსაც ჯერ კიდევ დედაჩემის ზრუნვა არ მოკლებოდა, ვაკვირდებოდი ხეხილით დამშვენებულ ეზოს, რომელსაც ჯერ კიდევ დედაჩემის ნაფეხურები არ წაშლოდა... ვაკვირდებოდი მთელ კარმიდამოს და ვფიქრობდი, ნუთუ ერთბაშად ისე გავიზარდე და ახლა იმდენი ხნისა ვარ, რომ დედა არა მყავს, უდედოდ შემიძლია ამ ქვეყნად ვიცხოვრო... გულახდილად უნდა გითხრათ, არ მეგონა, ნამდვილად არ მეგონა თუ დადგებოდა დღე, როცა დედა არ მეყოლებოდა... ჩემი მიზნების განხორციელებას სტუდენტობიდან დოქტორობამდე 23 წელი დასჭირდა, 23 წელი ელოდებოდა დედა ჩემგან ალერსს, საუბარს, მზრუნველობას... მე კი ჩემი პირადი წარმატებებით თავბრუდახვეული ვერ ვხედავდი დედაჩემი როგორ დასცა სიბერემ ბეჭებზე და როგორ დააჭირა მუხლი გულზე, ვერ ვამჩნევდი წლებთან ერთად როგორ ჭკნებოდა მისი სხეული, როგორ ადნებოდა ხორცი ძვალზე. დამიჯერეთ! თვალით ნამდვილად ვერ ვამჩნევდი წვეთწვეთობით როგორ კლებულობდა, როგორ ილეოდა, განშორების დღე როგორ ახლოვდებოდა... ამიტომაც არ ვუფრთხილდებოდი, ხშირად არც ვაკითხავდი, მასთან საუბრისათვის ვერ ვიცლიდი. მეგონა ამ ქვეყნად მარად იქნებოდა დედა.

...მას შემდეგ, რაც დედაჩემი დავასაფლავეთ თორმეტი წელი გავიდა. მისი ხსოვნის საპატივცემულოდ, მისი სახელის სადიდებლად ამ წლებში რას არ ვაკეთებ, არაფერს ვზოგავ: დედის საფლავს ხშირად ვნახულობ და ზედ მოყრილ მიწას ვფერები, დედის ტანსაცმელს ვკოცნი და ცრემლებით ვალბობ, მის გადიდებულ სურათს დღენიადაგ შევყურებ, ყოველწლიურად დაბადების დღესაც ვუხდი, ახლა დედისეულ სახლ-კარის განახლებაზეც ვფიქრობ, ვმუშაობ, განახლებულ სახლში მარტო ჩემი დედისა კი არა, საერთოდ დედების დიდების პატარა მუზეუმის მოწყობაზეც ვოცნებობ, მაგრამ... მაგრამ დედის სიცოცხლეში მისთვის ჩემი მოუცლელობის მოგონება გულს მიკლავს, მოსვენებას არ მაძლევს, მტანჯავს. ჰო, როგორ მინდა ახლა ყოველთვის და ყველგან ხმამაღლა ვიყვირო: შვილებო! მოიცალეთ დედებისათვის, ნუ გადასდებთ მათ ნახვას, სიცოცხლეშივე ეცით პატივი, იზრუნეთ მათი გახარებისა და სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის, თორემ თქვენც ჩემსავით გამოუსწორებელ შეცდომას დაუშვებთ, თქვენც ჩემსავით გულდათუთქული დარჩებით!...

მკითხველო! იქნებ შენც დამეხმარო, იქნებ სხვაც დამეხმაროს და ჩვენგან წასული დედების საფლავთა გასათბობად მე, შენ და იმ სხვებმაც ამ ქვეყნად მყოფი დედების შვილებს პირდაპირ ვუთხრათ, ხმამაღლა ვუთხრათ: სიცოცხლეშივე მოეფერეთ, მოეალერსეთ და მოეპატრონეთ დედებს, თორემ დედისეული სახლკარის წილი ცის, მზის, მთვარისა და ვარსკვლავების დანახვა მუდამ შეგაძრწუნებთ, დედისეულ სახლკარში ბელურების, მერცხლების, შოშიებისა და ბულბულების სტვენა-გალობით ვერ გაიხარებთ.



ს. ქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ბედნიერება დასახული
მშვენიერი მიზნის მიღწევაა“...

# ინტერვიუ ჟურნალისტთან



დ. იაკობაშვილის ფოტო

ნარგიზა მგელაძე შვილებთან

მისაღებში არცერთი სკამი თავისუფალი არ იყო, ტელეფონი განუწყვეტლივ რეკავდა...

ყველა ელოდა. ისხდნენ და ელოდნენ... სულაც არ იყო ეს მოლოდინი მოსაწყენი და გამაღიზიანებელი... ჩქარი ნაბიჯებით, თავისებურად თბილი და ოდნავ მკაცრი გამოხედვით შეაღო კაბინეტის კარი... „გამარჯობათ!“ — გაიელვა ერთადერთმა სიტყვამ.

**„გაზეთ „თბილისის“ რედაქტორის მოადგილე ნარგიზა მგელაძე“** — ვკითხულობთ კაბინეტის კარზე.

ნელ-ნელა ცარიელდება სკამები... ყველა კმაყოფილი ტოვებს მისაღებს... მათ სჯერათ რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტისა, იმ ქალისა, ვის თითოეულ სტრიქონსაც მოუთმენლად ელიან ყოველდღე...

ნარგიზა მგელაძე ყველგან არის... ასეთია ჟურნალისტის პროფესია...

ფიქრებში წასულმა ვერც გავიგე, ისე დაცარიელდა სკამები. „ძლივს“ გავიფიქრე და კარი შევხსენი...

უჩვეულო ნათელი იდგა ირგვლივ, თითქოს „ლურჯი, გამჭვირვალე ცა ოთახში შემოტევას ლამობდა“. სარკმელთან ახლოს, მაგიდაზე თეთრი გეორგინებით სავსე ლარნაკი მოჩანდა... გაზაფხულის ძალუმი ფეთქვა ვიგრძენი... მახსენდება: „ქალი სახლში არ შევა, რომ ყვავილის ტოტი არ შეიტანოს, ბიჭი გოგოს ყვავილით ხვდება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**— ყვავილები... რამე სასიამოვნო მოგონებას ხომ არ აღძრავს თქვენში?**

საქმიანი იერი უცებ გაუქრა, თითქოს ტვირთი მოიხსნაო...

— ყვავილები... არ მეგულება ნორმალური ადამიანი, ყვავილი არ უყვარდეს... უმათოდ ცხოვრებას ერთი ძირითადი ხაზი დააკლდებოდა. როცა მათ შევავლებ თვალს, დაძაბულობა მეხსნება, დაღლილობა ჰქრება. კიდევ, ალბათ, იმიტომ მიყვარს ისინი, რომ აპრილში ვარ დაბადებული, აპრილის ოცდახუთს, როცა გადარეულად ყვავიან იასამნები... თეთრი იასამანი... „ჩამოვფრინდები შენს ლურჯ ტოტებზე, ჩამოვფრინდები, იასამანო"... კარგია ანა...

**— რას გვეტყვით თანამედროვე ქართველ ახალგაზრდობაზე?**

— კარგს, რა თქმა უნდა, ძირითადად, კარგს, ჩემი შვილების სახით ჩემს მომავალს ვხედავ. მაგრამ რომ ვთქვა, ჩვენს ახალგაზრდობას არავითარი ნაკლი არ აქვს-მეთქი, არ ვიქნები გულწრფელი. მე მინდა, ეს ნაკლი არა მარტო დავინახო, არამედ ვეძებო მისი აღმოფხვრის გზები. ხშირად მიხდება სწორედ ამ ჩრდილოვან მხარეებზე წერა და ვგრძნობ, რომ მკვეთრად უარყოფითის მიმართ ჩემი დამოკიდებულებაც მკვეთრად უარყოფითია. მკითხველმა სწორედ მძაფრად კრიტიკულ წერილში უნდა იგრძნოს, თუ რა დიდი სიყვარული უდევს მას სარჩულად. თუ ვერ დაინახავს, ვიტყვი, რომ მას რაღაც მეშვიდე გრძნობა აკლია, შინაგანი სმენა, ან მე ვერ შევძელი მობილიზება გამეკეთებინა მისი გულისყურისათვის. ყველა ადამიანმა თავისი წილი „ჯვარი უნდა ზიდოს"... ასეთ წერილს მე ტკივილები მაწერინებს, სიყვარული, სხვისი გადარჩენის სურვილი, თორემ სხვა რა მრჯის? ტკბილად ჭიკჭიკზე ადვილი რა არის?

**— როგორც ჟურნალისტს, კონკრეტულად მაინც რა პრობლემები გაწუხებთ?**

— ეს დიდი საუბრის თემაა. როგორც ჟურნალისტი, ადამიანის ზნეობის საკითხითა ვარ დაინტერესებული. ამ საკითხებს ვამუშავებ არა ფილოსოფიურ-მეცნიერულ, არამედ პუბლიცისტურ ჭრილში. ჩემი ჟურნალისტური ინტერესების სფეროში, უპირველეს ყოვლისა, დგას ახალგაზრდობის ზნეობა, — აი, რა საკითხებს ვუტრიალებ.

**— როგორი უნდა იყოს თანამედროვე ჟურნალისტი და საკმარისია თუ არა მხოლოდ ნიჭი წარმატებების მისაღწევად?**

— არსად, არც ერთ სფეროში, მარტო ნიჭი საკმარისი არ გახლავთ. საერთოდ კი მე ნიჭში ვგულისხმობ ამ ნიჭის გამოყენების დაუოკებელ სურვილსაც. ჩემთვის გაუგებარია ფრაზა: „ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი". ეს არ არის ნიჭი, იგი ან ფიქციაა, ან ყალბად მიკერებული იარლიყი. ნიჭი, უპირველეს ყოვლისა, არის იმ უნარისა და მონაცემების გამოყენების მძაფრი სურვილი, რომელიც ამ უნარს საქმედ აქცევს. მთავარია, ადამიანმა შრომით განავითაროს მონაცემი, სწორად აღმოაჩინოს თავის თავში, რის ნიჭიცა აქვს და უჭირისუფლოს ამ ნიჭს. თვით ტოლსტოიც კი, რომელიც წარმოუდგენლად დიდ ექსპლოატაციას უწევდა ნიჭს, სიზარმაცეს უჩიოდა. ვინ მოგვცა უფლება თუკი რაღაცისადმი ძლიერი მიდრეკილება გვაქვს, ხალხის სამსახურში არ ჩავაყენოთ იგი? წინააღმდეგ შემთხვევაში ნიჭიერს კი არა, ასეთ ადამიანს მე ვუწოდებდი დამნაშავეს. ეს უნდა ჩაიბეჭდოს ახალგაზრდობამ. რამდენი გვინახავს ახალგაზრდა პოეტი, რომელმაც ათიოდე იმედისმომცემი ლექსი დაწერა, რამდენი არტისტი გაბრწყინებულა სპექტაკლში, მაგრამ მერე ნელნელა ჩამქრალა. ნებისყოფა, პასუხისმგებლობა, ნიჭი ერთ კომპლექსში უნდა იყოს მოქცეული, რა თქმა უნდა, შრომისმოყვარეობასთან ერთად.

**— ნარგიზა მგელაძე ჟურნალისტი თუ ნარგიზა მგელაძე მწერალი?**

— მე ჟურნალისტი ვარ პროფესიით, ვფიქრობ მოწოდებითაც. დიდი სურვილი მაქვს მწერლობაში ვიმუშაო, მაგრამ ამის შესაძლებლობას ჩემი საყვარელი ჟურნალისტიკა ძალიან იშვიათად მაძლევს. „სიყვარული მტანჯველია", არაფრისთვის არ მიტოვებს დროს, ძალებს... ამას ემატება შვილები, ოჯახი... თუ ორივე ძალიან გიყვარს, ძნელია, რა თქმა უნდა...

**სტრიქონები ნარგიზა მგელაძის საბავშვო წიგნიდან: „თეასა და ნათიას არდადეგები", რომელშიც ჟურნალისტი ქალის პატარა ქალიშვილი ამბობს:**

„როცა დედა შინაა, ყველაფერი სწრაფად და მხიარულად კეთდება, საჭმელს გემოც სხვანაირი აქვს და უფრო ლაზათიანად გამოიყურება... მაგრამ როცა დედას „გაზეთის დღე" აქვს (როცა გაზეთი მზადდება) მეორე დღისათვის, ყველაფერი ირევა.

— შვილებო, ახალი წლის შეხვედრა უჩემოდ მოგიწევთ, არ მოიწყინოთ, მხიარულად შეხვდით.

— რატომ, დედიკო! — ავწუწუნდით მე და თეა.

— მოსკოვიდან მასალა აგვიანებს, სანამ ითარგმნება, აიწყობა, ჩასწორდება, დიდი დრო უნდა, აბა, თქვენ იცით, ხომ ხარჯა ჩემი ჭკვიანი შვილები? სუფრაზე ტკბილეული დააწყვეთ, ხელ-პირი დაიბანეთ და გალამაზდით.

...გამოდის, რომ ახალ წელს უდედოდ უნდა შევხვედროდით. — გოზინაყს ხვალ გავაკეთებთ, ხვალაც ხომ ახალი წელია?

... როცა დილას თვალი გავახილე, უფრო სწორად, სანამ თვალს გავახელდი, ცხვირში შემოიტინა ცხელი თაფლისა და მოხალული ნიგვზის სუნმა... ოთახში დედა შემოვიდა.. ხელში თეფში ეკავა, ლამაზი წინსაფარი ეკეთა და იღიმებოდა...

— მოგილოცავს ახალი წელი! — თქვა და ლოგინზე ჩამომიჯდა, ჯერ კიდევ თბილი გოზინაყის მოზრდილი ნაჭერი პირში ჩამიდო და მაკოცა. ისეთი გემრიელი იყო, თითებს ჩაიკვნეტდი.

ამასობაში თეამაც გაიღვიძა.

— დედა, როდის მოხვედი?

— დილას, ექვს საათზე, ასე რომ მეკვლეც მე ვიყავი"...

— „თეას და ნათიას არდადეგებს" ვწერდი მაშინ, როცა ბავშვები პატარები იყვნენ. მე და ჩემს მეუღლეს მარტო გვიხდებოდა მათი გაზრდა. საღამოთი კი ქალალდთან პირისპირ დარჩენისას ძლიერდებოდა შვილებისადმი სიყვარული, მახსენდებოდა მათი ნალაპარაკევი და ასე ქაღალდზე ვეფერებოდი მათ.

**— თეა წლეულს ჩაირიცხა ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტზე.**

— კი, მაგრამ ესპანური უნდოდა... გვპირდებიან ერთი წლის შემდეგ გაიხსნება ეს ფაკულტეტიო... ძალიან უყვარს ესპანური, გვარიანად იცის კიდეც.

**— რას გვეტყვით „უცნობი ბიჭის დღიურის შესახებ?".**

— ეს წიგნი ახლახანს გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა". იგი განკუთვნილია უფროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის და ზნეობის საკითხებს ეხება. ადრე ამ მოთხრობის რადიოდადგმა გაკეთდა. ადრე „პიონერში" დაიბეჭდა და ბევრი წერილი მივიღე მოსწავლეებისაგან.

**— ამბობენ, ჟურნალისტი ქალები ხშირად მარტოობაში ამთავრებენ სიცოცხლესო, ოჯახის შექმნას ვერ ასწრებენო...**

— მე მგონი, არ არის სწორი. ჟურნალისტიკა სულაც არ ტოვებს ადგილს მარტოობისათვის. გინდა თუ არა, ამყარებ უამრავ კონტაქტს ხალხთან, უსაზღვროდ დიდია ნაცნობობის წრე. მასწავლებლებზე კიდევ შეიძლება ამის თქმა, მაგრამ ჟურნალისტს, თეორიულადაც და პრაქტიკულადაც, მეტი შანსი აქვს ადამიანებთან დაახლოებისა — „სად არ დადგმულა ჟურნალისტის ფეხი"... არის ადგილები, სადაც მხოლოდ თეთრი დათვისა და ჟურნალისტის ფეხი დადგმულა. ჟურნალისტიკას ვუმადლი ჩემი მეუღლის გაცნობასაც...

**— ერთგან ამბობთ: „ბედნიერება დასახული მშვენიერი მიზნის მიღწევააო". ყველაზე ბედნიერი დღე თქვენი ცხოვრებიდან?**

— ბევრი სასიხარულო დღე მქონია. პირველი წიგნის პირველი ეგზემპლარის ხელში აღებაც თავისთავად ბედნიერებაა — მაგრამ მე მგონია, შვილების დაბადება ყველა სხვა სასიხარულო დღეს ჩრდილავს...

**და კითხვა, რომელიც, ალბათ, არ უნდა მივეცა:**

**— თავისუფალ დროს რას აკეთებთ?**

გაეცინა.

ღიმილმა ყველაფერი მითხრა, მართლაც სად შეიძლება ჰქონდეს თავისუფალი დრო ორი შვილის დედას, რედაქტორის მოადგილეს, რესპუბლიკის დამსახურებულ ჟურნალისტს.

რაც თავი მახსოვს თავისუფალი დრო არ მქონიაო...

ასეთია ჟურნალისტის პროფესია... ოღონდ ჭეშმარიტისა... ოთახში მოცისფრო ნათელი ჩამოდგა...

გამოვდივარ...

მისაღებში კვლავ არც ერთი სკამი არ არის თავისუფალი.

თამარ შაიშმელაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.



# მიწა უკვე გათბა

**ოდესღაც**, ჩვენს ბავშვობაში გვეჩვენებოდა თითქოს ადამიანები ნელა და იშვიათად კვდებოდნენ... შიშით ვუსმენდით ქირისუფალთა მოთქმებს და ეს მშვენიერი, ყვავილიანი მიწა გვაკრთობდა. იგი ცივი იყო ჩვენს ბავშვობაში და მხოლოდ მერე, თანდათან გათბა, როცა მის გულში ძვირფასი საფლავები გაჩნდა...

* * *

„ვერასდროს, ჩემს სიცოცხლეში გამომცემლობას ვერ მოვცილდები... მიყვარს ქართული სიტყვა, ეს მაცოცხლებს“, ამბობდა. ხშირად ადამიანებს, როცა ისინი ჩვენს შორის არიან, ისე, როგორც ეს საჭიროა, ვერ ვაფასებთ. ხშირად, კეთილი სიტყვა განსაკუთრებით საყვარელი მეგობრისთვისაც არ გვემეტება... ციალა ქართსანიძე ყველას უყვარდა... მისი უმწიკვლო სული და უბრალო, მეგობრული საუბრები ბევრს უმშვიდებდა გულს, იგი ამ ქვეყნად თითქოს იმიტომ იყო მოსული, სხვებზე რომ ეზრუნა, სხვათა ტკივილი და სიხარული რომ თავისად ეტარებინა. ტკივილით არის დაწერილი მისი პატარა წიგნიც — „აქამდე არა გვტოვებენ“... იმ ადამიანებზე, იმ ბევრისთვის უცნობ, ნათელ, ნაამაგარ ადამიანებზე, რომელთა გვერდითაც თვითონ გაიზარდა, რომელნიც წავიდნენ... ზოგნი უდროოდ, ზოგნი ხანში შესულნი... მაგრამ გამომცემლობისა და ახლობელთა გულებში დატოვეს კეთილი კვალი. ასეთები არსებობენ... მაგრამ იშვიათად, რომ ვინმემ მათზე რაიმე დაწეროს. ციალამ გააცოცხლა და დავიწყებას გამოსტაცა ისინი. უბრალო, ნათელი, ძალდაუტანებელი, ყოველგვარ სალებავებს მოკლებული ენით გვიამბო მათი ამბავი. ეს ადამიანები მისი ცხოვრების თანამგზავრებად იყვნენ ქცეულნი, არასდროს არ სტოვებდნენ... ისე გვიამბო, თითქოს ცოცხლებზე წერდა. მსგავსი წიგნები უნდა იწერებოდეს. ეს გამომცემლობის, (და განა მარტო გამომცემლობის!) მთელი ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ისტორიაც არის, მისი პატარა მონაკვეთია, უპრეტენზიო, თბილი, საჭირო, საინტერესო.

„ლიტერატურული ბოჰემის ტრფიალი“, „ძველო თბილისო, გტოვებ, ნახვამდის“, „და თითო-თითოდ დავტოვებთ სცენას“, „დინჯი ნაბიჯით ქუჩა გალია“, „მოგონებებში გადახველ“, „გამომცემლობის ლიტერატურული სამყარო“... აი, ციალა ქართსანიძის წერილები, რომლებიც, სიყვარულთან ერთად, უამრავი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ფაქტისა და ურთიერთობების მოგონებებით არის სავსე. რა მშვენიერია თუნდაც ქართველ პოეტთა კალამბურები, ციალამ რომ შეინახა და არ დაგვიკარგა... რა სიხარული განაცდევინა მათმა გახსენებამ ადამიანებს.

„...რა ვქნა, ძალიან ბევრი საქმე გამიჩნდა, არ მცალია, ჩემი ლექსები ვძებნო, შევკრიბო და ერთად თავი მოვუყარო. შენ, როგორც მეგობარს, ეს საქმე გამიკეთე“, — უთხოვია გიორგი ლეონიძეს შალვა დემეტრაძისათვის... მე ხომ ვიცოდი, ამ საქმის გამკეთებელი იმ ხანად გოგლა მართლა ვერ იყო, — დავპირდი. ოთახიდან როცა გადიოდა, მომიბრუნდა და, შვილს გამზრდელს რომ დაუტოვებენ გასაზრდელად, იმგვარად ჩამაბარა თავისი წიგნის გამოცემის საქმე. საკმაოდ, დიდი ხანი დამჭირდა ყოველივე ამის გასაკეთებლად“, ყვებ[illegible] და თურმე ბატონი შალვა დემეტრაძე ლეონიძის ლექსთა პირველი კრებულის გამოცემის ამბავს, რომელსაც თარიღად 1939 წელი უზის.

„...მახსოვს, პოეტებისა და მწერლების დიდი სურვილი იყო, ეშოვნათ კარგი ცხენები, ეთხოვათ ჩვენი სასიქადულო მხატვრის ლადო გუდიაშვილისათვის, რათა ისინი ლურჯად გადაელება. შეღებილი ბედაურები ბალდახინში შეებათ. ბალდახინზე დაესვენებინათ პოეტის ცხედარი და თავისი „ლურჯა ცხენებით“ გაექროლა უკანასკნელი გზა მთაწმინდისაკენ“, — წერს ციალა მისი სათაყვანო პოეტის — გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილ წერილში და შესანიშნავი თხრობით ჩვენს ხსოვნაში კვლავ აცოცხლებს მასთან გამოთხოვების მძიმე დღეებს.

დიდებულია მისი მოგონება პავლე ინგოროყვაზე... „გიგანტი“, „გიორგი მერჩულე“, „უჰონორაროდ“. მისი მსგავსი ზომა-წონის წიგნი თურმე გამომცემლობას წინათ არ გამოეცა და სასიგნალო ეგზემპლარი აუწონიათ. როცა პავლემ ეს შეიტყო, აღტაცება ვერ დაფარა. რა უცნაური ხალხი ხართ, რამ მოგაფიქრებინათ ამის აწონაო. შემდეგ კი, იმხანად დიდ გასაჭირში ჩავარდნილი გამომცემლობის („მერანის“) დახმარების მიზნით, ჰონორარზეც უარი უთქვამს. ეს ჩინებული ფაქტი შემოინახა ციალას მოგონებამ... „არ მქონდა უფლება თქვენთან სიახლოვის სიხარული ქვეყნისათვის დამემალა... მიიღეთ ჩემგან ეს პატარა მოგონება, რომელიც ალბათ, თქვენს ღიმილს გამოიწვევს „საიდუმლოს“ ვერდაფარვისათვის, ქართველ კაცს კი კიდევ ერთ სამყაროს გადაუშლის თქვენი კეთილშობილებისა და მამულიშვილობის გამო“, — წერს იგი ბატონი პავლესადმი მიძღვნილ წერილში.

ყველა მოგონება, რომელიც კი ამ წიგნში შევიდა, სავსეა გარდასულ სახეებთან სიყვარულის გადაძახილით, პატივისცემით. ამიტომაც ბატონმა ნიკა აგიაშვილმა ამ წიგნს დაუზარებლად დაუწერა წინასიტყვაობა. სწორედ ბატონი ნიკას გარდაცვალების მეორე დღეს წავიდა ჩვენგან ციალაც. წინა დღეს, მწერალთა კავშირში, პავლე ინგოროყვას საღამოზე, უჩვეულოდ, ორი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათით ადრე მისულიყო. შემთხვევით მეც იქ ვიყავი. დარბაზში, შესასვლელთან კედელს მიყრდნობილი მარტო იდგა. ასე ადრე რომ მოგიყვანა მეთქი ვკითხე. ნიკა აგიაშვილი გარდაიცვალა, იქედან მოვდივარ, იმდენი ვიტირე, ცუდად ვარ, ისევ აქეთ წამოვედიო. თითქოს რაღაც წინასწარგრძნობით, ადრეც იმიტომ მოსულიყო, უკანასკნელი რომ იყო მისი იქ ყოფნა. უყვარდა და გამოეთხოვა. შემდეგ მიხეილ ქურდიანმა თავის გამოსვლაში პავლე ინგოროყვაზე, ციალას მოგონება ახსენა... მადლობა უთხრა...

ციალა იჯდა გაუნძრევლად, მაგრამ ბედნიერი. ეს მისი უკანასკნელი სიხარული იყო. მეორე დილით, თურმე, ხმამაღლა, მხიარულად ჰყვებოდა საღამოზე მიღებულ შთაბეჭდილებებს. შემდეგ... სულ ცოტა ხანში, თითქმის წუთების შემდეგ, ყველაფერი გათავდა...

როგორ უყვარდა ყველას. განა იოლია რედაქციაში, სადაც ათასნაირი ხასიათის, პრეტენზიების, ნიჭიერი თუ უნიჭო ავტორი შემოდის, ყველასთან უბრალო, კეთილი და უშუალო ურთიერთობის დამყარება! ციალა იყო ასეთი...

უამრავი კარგი წიგნის რედაქტორს, თვითონ უაღრესად მოკრძალებულს და თავმდაბალს, არასოდეს უფიქრია, ოდესმე წიგნს რომ გამოსცემდა... მაგრამ თუ ეს წიგნი მაინც გამოვიდა, ეს მისი მეგობრების, მისი თანამშრომლების ღვაწლია. მათ ურჩიეს, სთხოვეს დაწერეო. შემდეგი კი, როცა ადამიანები საკუთარ შთაბეჭდილებებს მადლობით უზიარებდნენ, ბედნიერი იყო. შემდეგ მეორე წიგნის გამოცემაზეც დაიწყო ფიქრი. და ახლა, მის პატარა, ნათელ ბინაში, სამუშაო მაგიდაზე ზოგი დამთავრებული, ზოგიც დაუმთავრებელი ხელნაწერი დევს. ისინი ალბათ უნდა მოწესრიგდეს, უნდა გამოვიდეს ის წიგნიც.

ძნელია გამომცემლობა „მერანის" უციალოდ წარმოდგენა. რედაქცია მისი ოჯახი იყო... მაგრამ ცხოვრება ცხოვრებაა, მიწა კი უკვე გათბა.

არ მავიწყდება, მინდა დიდხანს არ დამავიწყდეს, მის კუბოსთან ქოთნებში ჩაწყობილი წითელი და თეთრი მიხაკები.. უამრავი მიხაკი (არც ერთი სხვა ყვავილი მიხაკის გარდა), ყველა მათგანი მისკენ რომ იყო გადახრილი... რამდენი ტკივილი მინახავს და მაინც, პირველად თითქოს მაშინ ვიგრძენი და გავიგონე კიდეც ყვავილებსაც რომ სცოდნიათ გლოვა, მოფერება.

მას უყვარდა თავისი სამშობლოს მზე, ადამიანები, ყვავილები, უყვარდა ქართული სიტყვა, ქართული წიგნი, უყვარდა პოეზია... უნდოდა, სწამდა თავისი ქვეყნის, თავისი ერის უკვდავება და ამ სიყვარულითა და რწმენით ცხოვრობდა. არ დაუკარგავს დრო უაზროდ, უტკივილოდ. ილვწოდა, როგორც შეეძლო, რამდენიც შეეძლო და ადამიანებთან მუდამ მიჰქონდა სითბო, ღიმილი, სიყვარული.

თინა კობალაძე

## იურიდიული კონსულტაციის კუთხე

# ალიმენტი

**მშობლები ვალდებული არიან თავიანთი არასრულწლოვანი შვილები არჩინონ.**

სასამართლოს გადაწყვეტილებით არასრულწლოვანი შვილის სარჩენი ალიმენტი მშობელს გადახდება შემდეგი ოდენობით:

ერთი შვილისათვის —თვიური შემოსავლის $^1/_4$ ანუ 25 პროცენტი; ორი შვილისათვის — თვიური შემოსავლის $^1/_3$ ანუ 33 პროცენტი; სამი და მეტი შვილისათვის — თვიური შემოსავლის $^1/_2$ ანუ 50 პროცენტი.

ხსენებული წილის ოდენობის შემცირება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით და იმ შემთხვევაში, თუ ალიმენტის გადამხდელ მშობელს ჰყავს სხვა არასრულწლოვანი შვილი (ან შვილები) და ზემოხსენებული რაოდენობით ალიმენტის გადახდის შემთხვევაში ეს შვილები აღმოჩნდებიან მატერიალურად უფრო ნაკლებ უზრუნველყოფილნი, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც ალიმენტის გადამხდელი მშობელი, პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდია, ან ალიმენტის მიმღები შვილი (შვილები) მუშაობას დაიწყებენ და საკმარისი ხელფასი ექნებათ.

თუ მოპასუხე — მოვალე სასამართლოს გადაწყვეტილებით ერთ შვილს უხდის ალიმენტს ყოველთვიურად თავისი შემოსავლის $^1/_4$-ს და წარმოიშობა მეორე და რეალური დავა — მეორე და სხვა შვილის სარჩოდ ალიმენტის გადახდისა, სასამართლოს გადაწყვეტილებით, გადასახდელი ალიმენტი პროპორციულად გაიყოფა ორი სხვადასხვა შვილის სასარგებლოდ.

თუ ალიმენტის მოვალეს, გარდა ხელფასისა, აქვს დამატებითი შემოსავალი საკარმიდამო ნაკვეთზე მოწყობილი დამხმარე მეურნეობიდან, კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში მუშაობისათვის დამატებითი მიღებული შემოსავალი ნატურით, მაშინ ალიმენტის წილობრივი გადასახადის გარდა, შეიძლება გადახდეს აგრეთვე გარკვეული თანხა, რომლის რაოდენობას განსაზღვრავს სასამართლო კონკრეტული ვითარების გათვალისწინებით.

როდესაც ალიმენტის გადამხდელ მშობელს აქვს ცვალებადი ხელფასი ან მოვალე შემოსავალს ნატურით იღებს, ალიმენტის რაოდენობა განისაზღვრება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ყოველთვიური შემოსავლიდან მტკიცე თანხის სახით და იმის გათვალისწინებით, რომ გადახდილი თანხა არ იყოს იმაზე ნაკლები, რაც წილობრივად პროცენტებით ერგებოდა შვილს სარჩოდ.

ალიმენტის მიმღები შვილის ავადმყოფობის ან განსაკუთრებული გარემოების შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი შვილისთვის საჭიროა დამატებითი ხარჯები, ალიმენტის გადამხდელ მშობელს შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით გადახდეს ერთდროული დამატებითი ხარჯები.

სრულწლოვანი, მაგრამ შრომისუნარმოკლებული შვილისათვის (რომელიც საჭიროებს მატერიალურ დახმარებას), მშობლებს ალიმენტის გადახდა დაევალება ყოველთვიურად მტკიცე თანხის სახით და სასამართლოს გადაწყვეტილებით.

ალიმენტის გადამხდელი მშობელი თუ თავს არიდებს ალიმენტის გადახდას (მიიმალება), მის მიმართ კანონით დაწესებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, მაგრამ მოვალის დაძებნამდე, ალიმენტის მიმღებ შვილებს რაისოცუზრუნველყოფის განყოფილების მიერ მიეცემა დახმარება ყოველთვიურად:

ერთ ბავშვზე — 20 მანეთი;
ორ ბავშვზე — 30 მანეთი;
სამ ბავშვზე — 40 მანეთი;
ოთხ და მეტ ბავშვზე — 50 მანეთი.

ალიმენტის გადახდევინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებას წინასწარი აღსრულების ძალა აქვს და სისრულეში მოჰყავს სასამართლოს აღმასრულებელს, რომელიც აღმასრულებელ ფურცელს წარადგენს მოვალის სამუშაო ადგილას. საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებული არიან მოვალის ხელფასის (შემოსავლის) გაცემის წინ დაუკავონ მუშაკს ვალი და სამი დღის განმავლობაში გაუგზავნონ ალიმენტი მიმღებს.

მუშაკი უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, რომ მას დაუკავონ შვილის (ან შვილების) ალიმენტი და მიუთითოს პირი, ვისაც უნდა გაეგზავნოს დაკავებული თანხა. თუკი მუშაკის სამუშაო ადგილზე არ მოქმედებს აღმასრულებელი ფურცლით ალიმენტის დაკავება კიდევ სხვა შვილისთვის, მაშინ ადმინისტრაცია ვალდებულია შეასრულოს მუშაკის ეს თხოვნა (დაკავებული თანხა არ უნდა აღემატებოდეს კანონით გათვალისწინებულ გადასახდელი თანხის რაოდენობას).

ალიმენტის გადახდის ნებაყოფლობითი წესი, არ გამორიცხავს ალიმენტის გადამხდევინებლის უფლებას ნებისმიერ დროს მიმართოს სასამართლოს ალიმენტის გადახდევინების შესახებ.

თუ განმცხადებელ პირს სასამართლოს სხვადასხვა გადაწყვეტილებებით ეკავება სხვა ქორწინებიდან შეძენილი შვილის (შვილების) ალიმენტი, გადასახდელი თანხის გაწონასწორებისათვის აუცილებელია სასამართლოს ახალი გადაწყვეტილება.

იმ პირს, რომელიც სასამართლოს განაჩენით მსჯავრდადებულია, ალიმენტის გადახდის ბოროტად თავის არიდებისათვის, ან რომელიც შინაგან საქმეთა ორგანოებმა მო-

ნახეს ალიმენტის გადახდისაგან თავის არიდებასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა ორგანოები პასპორტში აღუნიშნავენ, რომ მოვალეა იხადოს ალიმენტი. ასეთ პირზე ხელფასის (შემოსავლის) გაცემისას ადმინისტრაცია ვალდებულია დაუკავოს ალიმენტი და აცნობოს ქვემდებარე სახალხო სასამართლოს, რომ გამოუგზავნონ აღმასრულებელი ფურცელი, მისამართის შეტყობინებით, ვისაც უნდა გაეგზავნოს ალიმენტი. ასეთი პირის დაუძებნელობის შემთხვევაში, დაკავებული თანხა გადაირიცხება სასამართლოს ხადეპოზიტო ანგარიშზე.

საბავშვო დაწესებულებაში აღსაზრდელად მოთავსებული არასრულწლოვანი შვილების შესანახავი ხარჯები შეიძლება გადახდეს მშობლებს დაწესებულების სასარგებლოდ.

თუ სასამართლოში აღძრულია დავა არასრულწლოვანი შვილის სარჩო-ალიმენტის გადახდევინების შესახებ და ამ შვილის მშობლად მმაჩის ბიუროში რეგისტრირებულია მოპასუხე მხარე (ერთი მშობელი) — სასამართლო უფლებამოსილია საქმის არსებითად განხილვა-გადაწყვეტამდე გამოიტანოს განჩინება შვილის შესანახავი სახსრების მშობლისთვის დაკისრების შესახებ. ალიმენტის გადახდევინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებას წინასწარი აღსრულების ძალა აქვს, ალიმენტი ბავშვებს ენიშნებათ სასამართლოში საქმის აღძვრის დღიდან. არასრულწლოვან შვილებზე ალიმენტის გადახდევინების შესახებ დადგენილება გამოაქვს სახალხო მოსამართლეს ერთპიროვნულად. ამ საკითხზე დავის წარმოშობის შემთხვევაში განცხადება განიხილება და გადაწყდება სასამართლოს მიერ საერთო წესით.

**კითხვა: გარდა მშობლებისა, ვის შეიძლება დაევალოს არასრულწლოვანის რჩენა?**

**პასუხი:** პაპასა და ბებიას, რომელთაც აქვთ მატერიალური შესაძლებლობა, ევალებათ არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილიშვილი იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს რეალური შესაძლებლობა, რომ ბავშვმა დახმარება მიიღოს თავისი მშობლებისაგან.

თუ არასრულწლოვანები დახმარებას ვერ იღებენ მშობლებისაგან, პაპისა და ბებიისაგან, ხოლო არასრულწლოვანი ბავშვის, (ბავშვების) და-ძმას აქვს საკმაო სახსრები, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი დები და ძმები.

მამინაცვალს და დედინაცვალს, რომელთაც აქვთ საამისო მატერიალური საშუალება, ევალებათ არჩინონ არასრულწლოვანი გერი შვილი, თუ კი ეს გერი მამინაცვალთან და დედინაცვალთან აღსაზრდელად ან სარჩენად იმყოფება და არა ჰყავს ღვიძლი მშობლები, ან ჰყავს მშობლები, მაგრამ არ შეუძლიათ მიიღონ მათგან თავისი სარჩენი სახსრები.

პირი, რომელიც მუდმივ აღსაზრდელად და სარჩენად აიყვანს ბავშვს, მაგრამ შემდეგში უარს იტყვის მის აღზრდა-რჩენაზე, მოვალეა არჩინოს არასრულწლოვანი აღსაზრდელი, თუკი ამ ბავშვს (ბავშვებს) არ ჰყავს (არ ჰყავთ) ღვიძლი მშობლები, ან არ შეუძლია მიიღონ მათგან სარჩო.

**კითხვა: ოჯახის წევრები მოვალენი არიან თუ არა საჭირო შემთხვევაში ურთიერთის რჩენისა, და პერსონალურად ვინ?**

**პასუხი:** მეუღლეთა უფლება-მოვალეობები წარმოიშობა მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების შედეგად. მეუღლეებს ევალებათ საჭირო შემთხვევაში მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს. შრომისუნარმოკლებულ მეუღლეს უფლება აქვს მოითხოვოს სარჩო (ალიმენტი) მეორე მეუღლისაგან.

ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში შეუძლია მიიღოს სარჩო-ალიმენტი ქმრისაგან, ასეთ შემთხვევაში ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯებიც.

შრომისუუნარო მეუღლე, რომელსაც დახმარება სჭირდება, მეუღლისაგან ალიმენტის მიღების უფლებას ინარჩუნებს განქორწინების შემდეგაც, თუკი შრომის უნარი დაკარგა განქორწინებამდე, ან განქორწინების დღიდან ერთი წლის განმავლობაში.

თუ მეუღლეები ხანგრძლივი დროით იმყოფებოდნენ ქორწინებაში, დახმარების საჭიროების მქონე მეუღლეს შეიძლება დახმარება-ალიმენტი მისცეს განქორწინებულმა მეუღლემ იმ შემთხვევაშიც, როცა მეუღლეს საპენსიო ასაკი შეუსრულდა არა უგვიანეს ხუთი წლისა განქორწინების დღიდან.

იმ შემთხვევაში, როდესაც პაპა და ბებია დახმარებას საჭიროებენ, მაგრამ შეუძლებელია დახმარება მიიღონ შვილისაგან (ან შვილებისაგან), ან ერთიმეორისაგან, საკმაო სახსრების მქონე შვილიშვილი (ან შვილიშვილები) მოვალეა (მოვალენი არიან) საჭირო შემთხვევაში არჩინოს (არჩინონ) პაპა და ბებია.

ასეთივე რჩენის მოვალეობა არსებობს საჭირო შემთხვევაში და-ძმებს შორის.

შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუნარმოკლებული მშობლები. შვილები შეიძლება გათავისუფლდნენ მშობლების რჩენის მოვალეობისაგან, თუ დადგინდება, რომ შვილების არასრულწლოვანების დროს, შვილის რჩენა-აღზრდას თავს არიდებდა ამჟამად საზრდოს მთხოვნელი მშობელი.

მშობლისუფლებაჩამორთმეული პირი ჰკარგავს უფლებას შვილისაგან მიიღოს სარჩო.

ზემოჩამოთვლილ პირობებში გადახდილი ალიმენტის რაოდენობა განისაზღვრება ყოველთვიური გადასახადის მტკიცე თანხის სახით.

მოვალის საგადასახადო ალიმენტის რაოდენობის შეცვლა ხდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით და იმ შემთხვევაში, თუ შეიცვალა ალიმენტის გადამხდელის ან ალიმენტის მიმღების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა.

იურისტი თამარ ფაღავა

# ჩვენი სარედაქციო ფოსტიდან

# მრავალშვილიანი

საღად მოაზროვნე პატრიოტი ადამიანები მოგვიწოდებენ, მტკიცე ოჯახი შევქმნათ და მრავალი შვილი ვიყოლიოთ. ნამდვილად სჭირდება ქართველ ერს გამრავლება.

მართალია, ქალების სამოცი პროცენტი მიხვდა ნამდვილი ცხოვრების არსს, აჩენენ შვილებს, მაგრამ ქალების ნაწილი მაინც სხვანაირად მსჯელობს: ბევრი შვილი რომ ვიყოლიოთ დიდი ბინა გვინდა, ცხელი წყალი, მანქანა, მდგომარეობა და, ათას მიზეზს ასახელებენ.

პირადად მე, მაშინაც სხვა აზრისა ვიყავი და დღესაც. არავის ვუჯერებდი და მაინც ვაჩენდი შვილებს. ზოგიერთები დამცინოდნენ კიდეც, ასეთ პირობებში როგორ მრავლდებაო.

მე და ჩემი მეუღლე ბინის სივიწროვეს არ შევუშინდით, ერთოთახიან ბინაში ვცხოვრობდით და მაინც ოთხი შვილი ვიყოლიეთ. ღამე, ყველა რომ დაიძინებდა, მაშინ ვიწყებდი საქმეს, ვრეცხავდი და ვალაგებდი, რომ დილით სუფთა და ჩაკრიალებული წასულიყვნენ ჩემი შვილები სკოლაში (სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი მყავს.). ტრაბახით არ ვიტყვი და, მიხათითებელი მშობელი ვიყავი.

ასე გარჯით ოთხი შვილი გავზარდე, ყველას უმაღლესი დავამთავრებინე, ყველა გზაზე დავაყენე. ჩემს შვილებს შრომა უყვართ და არავის არაფერში ჩამორჩებიან.

როგორ ფიქრობთ, რამდენი შვილიშვილი უნდა მყავდეს. ჩემი აზრით, სულ ცოტა თექვსმეტი მაინც. ექვსი შვილიშვილი მყავს. ქალიშვილმა და რძლებმა მე არ მომბაძეს.

უფროსი ვაჟი და რძალი მასივში ცხოვრობენ, პატარა ოროთახიან ბინაში, ორი ქალიშვილი ჰყავთ. მეტის გაჩენას არ აპირებენ. ამბობენ, ბინა არ გვიწყობს ხელსაო. მეც ვერაფერს ვეუბნები. ცხოვრების დონე ამაღლდა და ახლა სხვანაირად მსჯელობენ ახალგაზრდები. ორი პატარა ოთახი ვერ ყოფნით.

ახლა სწავლაზე გაიმართა დიდი ამბავი. სკოლა და მასწავლებლები აღარ აკმაყოფილებთ. რეპეტიტორები სჭირდებათ. მერე უმაღლესსაც რომ დაამთავრებენ, კარგ ადგილზე მუშაობის დაწყება ჭირსო და ათას რამეს იმიზეზებენ, ოღონდ კი ბავშვები არ ამრავლონ.

მე და ჩემი მეუღლე კი სხვანაირად ვფიქრობთ და ვევედრებით ჩვენს შვილებს, რომ გამრავლდნენ. ვიფიქროთ ერის უკვდავებაზე და ჩვენი მოხუცებულობის იმედსა და სიხარულზე.

ელენე ქებაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა შეუძლია მარილს

— უთოს სახამებლის ან ჟანგის ლაქები რომ მოაცილოთ, ძირზე მარილი მოაყარეთ და ჯერ სველით, მერე კი მშრალი ტილოთი გაწმინდეთ.

კბილის უხეში ჯაგრისი დარბილდება, თუ რამდენიმე საათით მარილიან წყალში გააჩერებთ (ერთ ჭიქა წყალზე — ერთი ჩაის კოვზი მარილი).

თევზი ტაფას არ მიეკვრება, თუ ცხიმს, რომელშიც თევზსა სწვავთ, ცოტა მარილს დაუმატებთ.

დანები, მაკრატლები, ნიჩბები... გალესვამდე ჩააწყვეთ სუსტ მარილიან წყალში 30-40 წუთის განმავლობაში, შემდეგ ამოიღეთ და გაუმშრალებლად გალესეთ.

თუ რძეში ჩააგდებთ მარილის მწიკვს, აღარ ამჟავდება.

თუ ხალიჩაზე მელანი დაგესხათ, ლაქაზე დააყარეთ ცოტაოდენი მარილი, რომელიც მელანს შეიწოვს და ლაქა არ დარჩება.

თუ გსურთ, რომ მინა ყინულისაგან გაასუფთაოთ, ერთი მუჭა მარილი გახსენით ნახევარ ლიტრ წყალში; ამ სითხეში დასველებული ღრუბელი გაატარეთ მინაზე — ყინულის ქერქი გაქრება, შემდეგ მინა ჩვრით გაამშრალეთ.

ზამთარში გაკიდული თეთრეული რომ არ გაიყინოს, გასავლებ წყალს დაუმატეთ ცოტა მარილი.

ფერადი თეთრეული არ გახუნდება, თუ მას რამდენიმე წუთით მარილიან წყალში ჩაალბობთ.

ჩვეულებრივი მარილი კარგი საშუალებაა აბაზანის გასასუფთავებლად. აბაზანის დალაქული ადგილი ჯერ მარილით გაწმინდეთ, შემდეგ კი — ნიშადურში დასველებული ჩვრით.

მიმწვარი ქვაბი გაავსეთ მარილიანი წყლით და ასე დატოვეთ მთელი ღამე, მეორე დღეს კი აადუღეთ. — ქვაბის ძირი გასუფთავდება.

ახალი ტაფა ჯერ ცხიმით მოწმინდეთ, ხოლო შემდეგ გახეხეთ მარილით.

ნივრის (ხახვის) დაჭრისას, თევზის გასუფთავების შემდეგ, ხელებზე უსიამო სუნი რომ არ დაგრჩეთ, ხელები გაიხეხეთ მარილით, მერე კი დაიბანეთ.

ღუმელში ნედლ შეშას კარგად რომ მოეკიდოს ცეცხლი, გოხი მარილის მწიკვები შეაყარეთ.

ახალი ცოცხი 2-3 საათით ჩადეთ ცხელ მარილიან წყალში. ცოცხი გამაგრდება და დიდხანს მოგემსახურებათ.

ნიშადურის სპირტში გამდნარ მწიკვ მარილს ამოჰყავს ცხიმის ლაქები აბრეშუმის ქსოვილიდან.

ძმართან შერეული მარილი საუკეთესო საშუალებაა სპილენძისა და თითბრის სამკაულების, აგრეთვე, ძლიერ გაჭუჭყიანებული გრაფინებისა და ბოთლების გასასუფთავებლად.

მარილიანი წყლით კარგად ირეცხება სარკეები, სარკმლის მინები. ამ უკანასკნელს, სხვათა შორის, მარილწყალი იცავს გაყინვისაგან.

ძალიან ჭუჭყიანი ფარდები ადვილად გაირეცხება, თუ ჩაალბობთ მარილიან ხსნარში (ნორმა: 1 კოვზი მარილი — ხუთი ლიტრი წყალი).

მცენარეული ზეთი არ გამწარდება, თუ მას ოდნავ თავდახურულ ჭურჭელში შეინახავთ და შიგ ცოტაოდენ სუფრის მარილს ჩაყრით.

თუ შინაური ფრინველის ან თევზის ნაღველი ხელში გაგისკდათ, სიმწარის დასაკარგავად ნაღველიანი ადგილი მარილწყალში გარეცხეთ.

თუ პურს ფაიფურის ან მომინანქრებულ ჭურჭელში შეინახავთ, მაშინ ის დიდი ხნის განმავლობაში არ გახმება. კარგი იქნება, თუ ძირში ჩაულაგებთ კარტოფილის ნაჭრებს ან ჩაყრით ცოტაოდენ მარილს. — პური აღარ დაობდება.

ზედა ტანსაცმლის საყელოდან ქონიანი ლაქები შეიძლება მოაცილოთ სუფრის მარილისა და ნიშადურის სპირტის ხსნარში დასველებული ბამბით (ნორმა: ნახევარი ჩაის კოვზი მარილი გახსენით სამი სუფრის კოვზ ნიშადურის სპირტში).

**თენგიზ კახელიშვილი**



# ფუქსია

სურათზე წარმოდგენილ ყვავილს რამდენიმე სახელი აქვს — პატარძალა, დედოფლის ყვავილი, „ბალერინა“ და ფუქსია. მისი სამშობლოა მექსიკა, ჩილი და პერუ. პირველად იგი იპოვა სწავლულმა ბოტანიკოსმა ფუქსმა სამხრეთ ამერიკაში 1696 წელს. სწორედ მის პატივსაცემად ეწოდა სახელი „ფუქსია“. იგი საკმაოდ ცნობილი და გავრცელებული ოთახის მცენარეა. მოითხოვს ნოყიერ ნიადაგს და ზომიერ ტენს. ეს მცენარე გამოჰყავთ პირამიდული ბუჩქის ან გადმოფენილი ფორმისა.

ფუქსია უმთავრესად თებერვალ-მარტში კალმით მრავლდება. სადედე მცენარე იანვარში უნდა მოკლედ გაიკრიჭოს, რომ ბევრი საკალმე ტოტი გამოიტანოს. ტენიან სილიან მიწაში 15-20 დღეში ფესვიანდება.

ფუქსია უხვად და ხანგრძლივად ყვავის — გაზაფხულიდან ზამთრის პირამდე. მცენარის სიმაღლე 80-100 სანტიმეტრს აღწევს. გვხვდება მისი ჯუჯა ჯიშებიც. ზამთარში იგი კარგად ეგუება გრილ ოთახს (6-10 გრადუსი).

ყვავილობის პერიოდში სასურველია გამოიკვებოს მინერალური სასუქით. უმჯობესია მიწა შედგებოდეს ყამირის, ნეშომპალისა და სილის თანაბარი რაოდენობის ნარევისაგან. ფუქსია საქართველოს თბილ რაიონებში მსუბუქი დათბუნებით გრუნტშიაც ზამთრობს.

ფუქსია სინათლის მოყვარულია, ადგილის ხშირ გამოცვლას ვერ იტანს და ყვავილი სცვივა.

ფუქსია უნდა მოირწყას ოდნავ თბილი წყლით. კარგია წვიმის, თოვლის ან ონკანიდან წინა დღით აღებული წყალი.

ირ. ხმალაძე,
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

# ცქმილეულის სუფრა

## ფორთოხალი „ქლიარით“

ოთხი მოზრდილი ფორთოხალი გაფცქვენით და ლებნებად დაჟავით. ლებნებს ფრთხილად დააცალეთ კურკები. თითოეული ლებანი „კლიარში“ ამოავლეთ და ღრმა ტაფაში მცენარეულ ზეთში ყველა მხრიდან შეწვით.

სუფრაზე მიტანის წინ მოაყარეთ შაქრის „პუდრა“, რომელიც თავად შეგიძლიათ მოამზადოთ ყავის საფქვავში.

ფორთოხლის მაგივრად შეიძლება ვაშლის ნაჭრებიც გამოიყენოთ.

„კლიარის“ დამზადების წესი: ნახევარი ჭიქა პურის ფქვილი აურიეთ ნახევარ ჭიქა წყალში, შემდეგ დაუმატეთ კარგად ათქვეფილი სამი კვერცხის ცილა. გულები შეგიძლიათ რძე-კვერცხის კოკტეილისთვის გამოიყენოთ.

## რძე-კვერცხის კოკტეილი

3 კვერცხის გული 3 სუფრის კოვზ შაქართან ერთად ათქვიფეთ (შეგიძლიათ „მიქსერი“ გამოიყენოთ). დაუმატეთ 3-4 სუფრის კოვზი კენკროვანის ან რაიმე სხვა ხილის სიროფი, შემდეგ კოვზის ფრთხილი მორევით ჩაუმატეთ 3 ჭიქა ცივი რძე, ჩაასხით ჭიქებში და მიირთვით.

## შავი ქლიავი არაჟნით

შავი ქლიავის ჩირი გარეცხეთ და მდუღარე დაასხით. როცა შეატყობთ, რომ შერბილდა და დაიბერა, დააცალეთ კურკები. კურკების მაგივრად გულში ჩაუდეთ ნიგვზის ლებნები. დაალაგეთ ფრიალო თეფშზე ან ლანგარზე და ზემოდან გაცივებული არაჟანი ან ნაყინი მოასხით.

ეს კერძი სხვაგვარადაც შეგიძლიათ სუფრაზე მიიტანოთ. სირჩებში ან მაღალ ჭიქებში ჩაალაგეთ კურკებდაცლილი ქლიავის ჩირი, დაასხით წვენი, რომელშიც იგი ლბებოდა, ზემოდან დაადეთ ორი კოვზი არაჟანი ან ნაყინი და მოაყარეთ დანაყილი ნიგოზი.

## ხილის სალათი

აიღეთ სხვადასხვა ახალი ან დაკონსერვებული ხილი: ვაშლი, ფორთოხალი, მანდარინი, ატამი და ა. შ. დაჭერით, კურკიანებს კურკა დააცალეთ, ჩაალაგეთ ღრმა სასალათეში და დაასხით ზემოდან ან წყალგარეული ხილის სიროფი ან კომპოტის წვენი. შეიძლება სალათს დაემატოს შაქარი ან ლიმონის წვენი. წვენი იმდენი უნდა დაესხას, რომ ხილი შიგ არ აცურდეს, მხოლოდ უნდა დასველდეს. ზემოდან დაადეთ „მუსი“. ამისათვის 3-4 კვერცხის ცილა ნებისმიერ სიროფთან ერთად მიქსერში უნდა ათქვიფოთ. როცა ზემოდან მუსს მოადებთ, მის „ბორცვებში“ ალაგ-ალაგ ფორთოხლის ლებნები ჩაარჭვეთ.

## ვაშლის ღვეზელი („პეროგი“) ნაყინით

მოამზადეთ „თათრიახლა“ ცომი: თასში ჩადეთ 200 გრამი კარაქი ან მარგარინი. ნელ ცეცხლზე გაალღვეთ (არ აგიდუღდეთ), დაუმატეთ 300 გრამი არაჟანი და ერთი ათქვეფილი კვერცხი, ყოველივე აურიეთ და დაუმატეთ თეთრი პურის ფქვილი (ფქვილი აუცილებლად გაცერით), როცა ცომი არაჟნის სისქისა გახდება, გადმოიღეთ ფქვილიან ხის დაფაზე, დააყარეთ ზემოდან კიდევ ფქვილი და იმ სისქემდე ზილეთ, რომ მისი გაბრტყელება იყოს შესაძლებელი. გადმოიღეთ ცომის ორი მესამედი, გააბრტყელეთ და შემოახვიეთ ხის გასაბრტყელებელ საგორავს, მერე საგორავითვე გაშალეთ წინასწარ ცხიმწასმულ ტაფაზე, ცომის ფენაზე დაალაგეთ უმი ვაშლის ნაჭრები (1 კგ) და მოაყარეთ შაქრის ფხვნილი, შემოუკეცეთ გვერდები, დარჩენილი ცომიდან გააბრტყელეთ ვიწრო, ბრტყელი, ზოლივით ნაჭრები, გვერდები დანით დაუსერეთ და ზემოდან ღობის ფორმით მოალაგეთ. შედგით ღუმელში 30 წუთით. როცა ღვეზელი გაცივდება და დაჭრით, სუფრაზე მიტანის წინ ყოველ ნაჭერს ნაყინი დაადეთ.

## ნამცხვარი ხილით

ორი კვერცხის გული და ცილა გაყავით. გულები 5 ჩაის კოვზ შაქართან ერთად ასრისეთ, ცილები ათქვიფეთ (უკეთესია „მიქსერით“), ვიდრე ღრუბელივით მასას არ მიიღებთ. შემდეგ შეაერთეთ (გულები და ცილა,) დაუმატეთ 2 სუფრის კოვზი პურის და 1 ჩაის კოვზი კარტოფილის ფქვილი. ყოველივე აურიეთ ერთმანეთში, ჩადეთ ყალიბში და შედგით ცხელ ღუმელში.

როცა გაგრილდება, ყალიბიდან ნუ ამოიღებთ, ისე მორთეთ, რომელიც გნებავთ ხილით. ნებისმიერი ხილის სიროფში გახსენით ჟელატინი, დაასხით ყოველივე ეს ზემოდან და შედგით მაცივარში, ვიდრე ჟელატინი არ შემაგრდება. შემდეგ ყალიბი გახსენით და ნამცხვარი ფრთხილად გადმოიღეთ.

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ — ᲚᲘᲚᲘ ᲙᲐᲭᲐᲠᲐᲕᲐ. — „ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ“

მთავარი რედაქტორი ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: Გ. ᲑᲐᲜᲫᲔᲚᲐᲫᲔ, Ნ. ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ნ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ, Ლ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ, Ზ. ᲙᲕᲐᲭᲐᲫᲔ, Ნ. ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ, Თ. ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ქ. ᲚᲝᲛᲗᲐᲗᲘᲫᲔ, Ნ. ᲟᲕᲐᲜᲘᲐ, Პ. ᲟᲦᲔᲜᲢᲘ, Ც. ᲢᲔᲠᲔᲚᲐᲫᲔ (მხატ. რედაქტორი), Ნ. ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ლ. ᲨᲔᲭᲘᲠᲣᲚᲘ, Ნ. ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ნ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ე. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი Ნ. ᲑᲣᲙᲘᲐ

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096. Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 7. 02. 85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13. 03 85 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8.
Условных печатных листов 3, учетноиздательских листов 5,8. ტირაჟი 140 000. შეკვ. 360. უე 06438

# ქსოვის გაკვეთილი

განვიხილოთ ზოგიერთი აუცილებელი დეტალის დამუშავება. მაგალითად, უსახელო ჯემპრის საყელო შეიძლება შემდეგნაირად მოიქსოვოს. ნაქსოვის ნაწიბურზე ჩხირის საშუალებით ავკრეფთ თვლებს (იხ. სურათი № 1), მოვქსოვთ ჩვეულებრივ „რეზინას“ და დავამთავრებთ (სურათი № 2).

ან ავკრიფოთ თვლები უკუღმა მხრიდან (სურათი № 3) და მოვქსოვოთ წინდისებური ქსოვით ისე, რომ წაღმა ნაყში ძირითადი ნაქსოვის უკუღმა მხარეზე იყოს 4-5 სმ. მოქსოვის შემდეგ, წაღმა მხარეს ერთი რიგი უკუღმა მოვქსოვოთ, და შემდეგ ისევ წინდისებური ქსოვით მოვქსოვოთ 4-5 სმ, 4-6 რიგი მოვქსოვოთ სხვა ფერის ძაფით და ჩამოვხსნათ ჩხირებიდან (სურათი 4).

ნაქსოვის ბოლო გავაუთოვოთ სველი ტილოს ქვეშ. მოვარღვიოთ სხვა ფერის ძაფი, უკან გავკეროთ. უკუღმა ნაქსოვზე გადმოვკეცოთ და წაღმა მხარეს დავაკეროთ შემდეგი წესით (სურათი 5). დავამაგროთ ორი თვალი, შემდეგ ნემსი ამოვუყაროთ პირველ თვალს და ამოვდოთ ერთის გამოშვებით (სურათი 6), შემდეგ ისევ ამოვდებთ მეორე თვალს და ისევ ამოვუყრით ერთის გამოშვებით. ამ წესით დავაკერებთ მთელ საყელოს.

რეკომენდებულია საყელოს მოქსოვა ძირითად ნაქსოვთან შედარებით უფრო წვრილი ძაფით და ერთი ნომრით ნაკლები ჩხირებით.

ლამარა ვეკუა

1



2



3



4



5



6





ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ170/47

ფასი 30 კაპ

ინდექსი 76178